მმსდ-ს რეგისტრატორის სახელი და გვარი გარკვევით: _____

Head of SDLM Signature: _____ Seal.

სამმართველოს უფროსის ხელმოწერა: _____ ბ. ა.

Head of SDLM Name printed: _____

სამმართველოს უფროსის სახელი და გვარი გარკვევით: _____

Date of signature / ხელმოწერის თარიღი _____

USAID GEORGIA LAND MARKETS PROJECT
8 Mukhadze st.
Tbilisi, Georgia 380062

INVOICE No: _____

Name of Subcontractor _____

AGREEMENT No: _____

Title: _____

Date: _____

Units	Rate of Payment	Description of Work Completed	Total
		Copying services charge for landowner information and land allotment sketch maps. Sakrebulo _____ Sakrebulo _____ Sakrebulo _____ Sakrebulo _____ Sakrebulo _____ Sakrebulo _____ Sakrebulo _____	
		Total Payment	

I hereby certify that the information contained in the materials copied is accurate and complete

_____
(signature of Subcontractor)

Booz Allen & Hamilton Inc. Approval:
I hereby certify, to the best of my knowledge, that the work listed above was performed in accordance with the Scope of Work, Annex A, Part I and Part II.

_____
(signature)
(Name and position of the person who authorized the payment)

Acknowledgement of receipt payment

Date: _____
Received Payment of: _____
Signature: _____

Payment ☐ Cash
☐ Transfer

Letter of Confirmation - Copies
დადასტურების წერილი - ასლები

COPIES OF LAND ARRANGEMENT SKETCHES
მიწათმოწყობის ესკიზების ასლები

RAYON _____ SAKREBULO _____
რაიონი საკრებულო

This is to certify that _____copies of land arrangement sketches have been
ამით დასტურდება, რომ მიწათმოწყობის ესკიზების _____ ასლი

received from _____
მიღებულ იქნა (land arranger – name printed)
(მიწათმომწყობი –სახელი, გვარი გარკვევით)

Certified Correct:
აღნიშნული მონაცემების სიზუსტე დადასტურებულია:

Subcontractor _____
ქვეკონტრაქტორი (Name Printed) (Signature)
(სახელი, გვარი გარკვევით) (ხელმოწერა)

Registrar _____
რეგისტრატორი (Name Printed) (Signature)
(სახელი, გვარი გარკვევით) (ხელმოწერა)

Regional Coordinator _____
რეგიონალური კოორდინატორი (Signature)
(ხელმოწერა)

DATE: _____
თარიღი:

Payment Received: _____ DATE: _____
თანხა მიიღო: (Signature) თარიღი:
(ხელმოწერა)

Equipment Request Form
ტექნიკის მოთხოვნის ფორმა

Subcontractor Agreement No.
ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულების №

No. of Parcels_____
ნაკვეთების რაოდენობა

Rayon _____

რაიონი _____

ვის: USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტს
To: USAID Land Markets Project

ვისგან: _____
From: _____

გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი სახის ტექნიკური აღჭურვილობა:
Please provide me with the following equipment:

დასახელება Item	დაწვრილებითი ინფორმაცია Details

ხელმოწერა _____
Signature

სახელი გარკვევით _____

Name Printed _____

თარიღი: _____
Date:

კომპიუტერული ტექნიკის მიღების ფორმა

USAID სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პროექტი
USAID Agricultural Land Registration Project

ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება №
Subcontractor Agreement

ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ მივიღე შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:
I hereby certify that I have received the following equipment:

№	ერთეულის დასახელება Name of Item	სერიის ნომერი Serial Number	მოდელის ნომერი/კონფიგურაცია Model number/configuration	ფასი Price $
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				

მე მესმის, რომ პასუხისმგებელი ვარ ამ ტექნიკური აღჭურვილობის შენახვასა და უსაფრთხოებაზე და ვიცი რომ აღნიშნული ტექნიკა წარმოადგენს **USAID/ Booz-Allen & Hamilton Inc.**-ის საკუთრებას ვიდრე საკუთრების უფლება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით, არ გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთხსენებული ერთეული დაიკარგება ან მოხდება მისი მოპარვა.

I understand that I am responsible for the security and maintenance of this equipment which remains the property of **USAID/ Booz-Allen & Hamilton Inc.** until the ownership is officially transferred to the Subcontractor in writing. I assume full responsibility if any of the above items are lost or stolen.

_____
ქვეკონტრაქტორის ხელმოწერა
Signature of Subcontractor

სახელი გარკვევით:
Name printed:

რაიონის დასახელება:
Name of Rayon:

თარიღი:
Date:

ტექნიკის მიღების ფორმა

USAID სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პროექტი
USAID Agricultural Land Registration Project

ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება №
Subcontractor Agreement

ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ მივიღე შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:
I hereby certify that I have received the following equipment:

№	ერთეულის დასახელება Name of Item	რაოდენობა No. of units	მოდელის ნომერი/კონფიგურაცია Model number/configuration	ფასი Price $
1	Theodolite თეოდოლიტი			
2	Tape ბაფთა			
3	Tripod სამფეხა შტატივი			
4	Stadia Rod ლარტყა			
5				

მე მესმის, რომ პასუხისმგებელი ვარ ამ ტექნიკური აღჭურვილობის შენახვასა და უსაფრთხოებაზე და ვიცი რომ აღნიშნული ტექნიკა წარმოადგენს **USAID/ Booz-Allen & Hamilton Inc.**-ის საკუთრებას ვიდრე საკუთრების უფლება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით, არ გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთხსენებული ერთეული დაიკარგება ან მოხდება მისი მოპარვა.

I understand that I am responsible for the security and maintenance of this equipment which remains the property of **USAID/ Booz-Allen & Hamilton Inc.** until the ownership is officially transferred to the Subcontractor in writing. I assume full responsibility if any of the above items are lost or stolen.

_____
ქვეკონტრაქტორის ხელმოწერა
Signature of Subcontractor

სახელი გარკვევით: _____
Name printed:

რაიონის დასახელება: _____
Name of Rayon:

თარიღი: _____
Date:

Supplies Receipt Form
მასალის მიღების ფორმა

USAID სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პროექტი
USAID Agricultural Land Registration Project

ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება № _____
Subcontractor Agreement

ქვემოთ ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ **USAID**-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტისაგან მივიღე შემდეგი საკანცელარიო ნივთები:

I hereby certify that I have received following office supplies from the **USAID Land Markets Project**:

№	ერთეულის დასახელება Name of Item	რაოდენობა Quantity	ფასი Price
1	ქაღალდი (სარეგისტრაციო დოკუმენტებისათვის) Paper (to be used for registration documents)		
2	ცელოფნის ფოლდერები (სარეგისტრაციო დოკუმენტებისათვის) Plastic folders (to be used for registration documents)		
3	ბაინდერები (სარეგისტრაციო დოკუმენტებისათვის) Binders (to be used for registration documents)		
4	კარტრიჯი (HP 4000) Cartridges (HP 1100)		
5	დისკეტები (დაუბრუნდეს ელექტრონული ინფორმაციით კონტრაქტორს) Diskettes (to be retained with electric data to contractor)		
6	განცხადებები Applications		
7	სარეგისტრაციო სერტიფიკატები Registration Certificates		

Note: Subcontractor is responsible for cost of printer cartridges only.
შენიშვნა: ქვეკონტრაკტორი პასუხისმგებელია მხოლოდ პრინტერის კარტრიჯების ფასის ანაზღაურებაზე.

_____
ქვეკონტრაქტორის ხელმოწერა
Signature of Subcontractor

სახელი გარკვევით: _____
Name printed:

რაიონის დასახელება: _____
Name of Rayon:

თარიღი:
Date: _____

ხელშეკრულება № ——— ქვეკონტრაქტორთა მომსახურებაზე

წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება და ძალაში შედის 2000 წლის ——— Booz-Allen & Hamilton Inc.-თან ("კონტრაქტორი") და ქვემოთ დასახელებულ ფირმასთან ("კონსულტანტთან") შემდგომში (ერთობლივად "მხარეებად" წოდებული):

კონტრაქტორის დასახელება: Booz-Allen & Hamilton Inc.
მისამართი: 8283 Greensboro Drive
Mc Lean, Virginia, 22102-3638
USA

ქვეკონტრაქტორის სახელი, გვარი: ———

მისამართი: ———

———

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: ———

1. ხელშეკრულების პირობების კონტრაქტორზე გავრცელება:

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები არ ვრცელდება კონტრაქტორზე, ვიდრე კონტრაქტორი ხელშეკრულებას არ დაადასტურებს ხელმოწერით.

2. ქვეკონტრაქტორის ვალდებულებანი

ა) ქვეკონტრაქტორი თანახმაა შეასრულოს სამუშაო და განახორციელოს მომსახურება დანართში "ა" ("სამუშაოს მოცულობა") აღწერილი პირობების შესაბამისად და USAID საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების პროექტის თანახმად ("პროექტი").

ბ) ქვეკონტრაქტორი შეასრულებს სამუშაოს და უზრუნველყოფს მომსახურებას აღწერილს დანართ "ა"-ში, სათანადო კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, კონტრაქტორისათვის მისაღები ფორმით. ქვეკონტრაქტორი დაიწყებს დანართში "ა"-ში („სამუშაოს მოცულობა") აღწერილ სამუშაოებს კონტრაქტორისაგან (დანართი "ა", ნაწილი III-ის შესაბამისად შედგენილ), "მუშაობის დაწყების ორდერის" მიღებისთანავე. ქვეკონტრაქტორი უზრუნველჰყოფს კონტრაქტორის მოთხოვნის შესაბამისად წერილობითი ანგარიშების წარდგენას პროექტის მიმდინარეობის შესახებ დანართში "ბ"-ს I ნაწილში მოცემული განრიგის ("ანგარიშწარმოებისა და კომპენსაციის პროცედურები") მიხედვით და თუ ასეთი განრიგი არ არის განსაზღვრული დანართ "ბ"-ში ანგარიშების წარდგენა უნდა მოხდეს სულ მცირე თვეში ერთხელ.

გ) ქვეკონტრაქტორი გარანტიას იძლევა, რომ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად განახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

დ) ქვეკონტრაქტორი ადასტურებს, რომ მისი ყველა თანამშრომელი და დამოუკიდებელი კონტრაქტორი, რომელიც შეასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, არიან და შემდგომშიც ამ კონტრაქტის მოქმედების მანძილზე იქნებიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები.

ე) ქვეკონტრაქტორის ლიცენზირება (თუ შესაძლებელია)

ქვეკონტრაქტორი ადასტურებს, რომ ლიცენზირებულია და ამდენად უფლებამოსილია შეასრულოს დანართ "ა"–ში აღნიშნული სამუშაო საქართველოს ყველა შესაბამისი კანონისა და ადათ-წესების თანახმად და შემდგომში საკუთარ იდენტიფიკაციას ადგენს შემდეგი სახით:

ლიცენზიის ნომერი: _____

ლიცენზიის სახეობა (მაგ. შემფასებელი, ამგეგმავი და .ა.შ): _____

ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო ორგანოს დასახელება:

_____

ლიცენზიის გაცემის თარიღი: _____

ლიცენზიის საბოლოო ვადა: _____

ლიცენზიაზე დაფიქსირებული სახელი: _____

3) ქვეკონტრაქტორი აგრეთვე ადასტურებს, რომ მისი კადრები და დამოუკიდებელი კონტრაქტორები შესაბამისად კვალიფიცირებულნი არიან შეასრულონ საჭირო სამუშაო და სადაც საჭიროა, შესაბამისად ლიცენზირებულნი არიან შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

3. კომპენსაცია

ა) კონტრაქტორი თანახმაა ქვეკონტრაქტორს გადაუხადოს სწორად შევსებული ზედდებულების წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში. ზედდებულები ბარდება თვეში ერთხელ დანართი "ბ", II ნაწილის შესაბამისად. ზედდებულების ფორმას ჩაბარებამდე კონტრაქტორი წერილობითი ფორმით ადასტურებს, ან ზედდებული უნდა მომზადდეს დანართი "ბ", IV ნაწილში მოცემული ზედდებულის ნიმუშის მიხედვით. კონტრაქტორი ინარჩუნებს უფლებას ნაწილობრივ ან სავსებით დაიწუნოს ზედდებული. თუკი იგი ამას გადახდამდე არ გააკეთებს, მას უფლება აქვს გადახდის შემდგომ გააკეთოს ეს და გადახდილი ფულის დაბრუნება მოითხოვოს. კონტრაქტორს არ მოეთხოვება აანაზღაუროს ისეთი საფუძველს მოკლებული საჩივარი, რომელიც არასწორად არის შედგენილი და რომელსაც თან ერთვის მოთხოვნისათვის შეუსაბამო დოკუმენტაცია.

ბ) გაწეული სამსახურისათვის, ქვეკონტრაქტორი მიიღებს ანაზღაურებას 1.05 ამერიკული დოლარის ოდენობით ან ქართულ ვალუტას შესაბამისი კურსით, დანართი „ა"-ს შესაბამისად რეგისტრირებულ თითო მიწის ნაკვეთზე. კონტრაქტორი არ არის ვალდებული გადაიხადოს, ხოლო ქვეკონტრაქტორი ვერ მოითხოვს _____-ზე მეტს, კონტრაქტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

გ) ქვეკონრაქტორი ვალდებულია საკმარისად დეტალურად შეავსოს ზედდებული, რათა კონტრაქტორმა სწრაფად და ზუსტად განსაზღვროს შესრულებული სამუშაოს სახეობა და რაოდენობა. რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში, კონტრაქტორმა საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად შესაძლოა მოითხოვოს დამხმარე დოკუმენტაცია.

დ) ზედდებულები ჩაბარდება ბ-ნ რობერტ ლ. ცემოვიჩს, პროექტის ხელმძღვანელს, ბუუზ ალენ–ის თბილისის ოფისში, რომელიც მდებარეობს მუხაძის ქ: № 8-ში,. ზედდებულები თანმიმდევრულად დაინომრება. თითოეულ ზედდებულში მითითებული იქნება მოცემული პერიოდისათვის გაცემული თანხა და აგერთვე გადახდილი თანხის საბოლოო ჯამი.

92

4. მგზავრობა და ხარჯები

ქვეკონტრაქტორს ესმის და იგი თანახმაა, რომ: ა) სამუშაოს ჩაატარებს დანართ "ა"-ს ნაწილ I-ში დაფიქსირებულ ტერიტორიებზე; ბ) ქვეკონტრაქტორის თანამშრომლები და დამოუკიდებელი კონტრაქტორებისათვის აუცილებელია რეგულარულად ჩავიდნენ და განუსაზღვრელი ვადით გაჩერდნენ ადგილებზე, სადაც ქვეკონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს თავისი მომსახურეობა. აქედან გამომდინარე:

ა. ქვეკონტრაქტორი თანახმაა მხოლოდ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამუშაოს განსახორციელებლად საჭირო ყველა რესურსი (როგორიცაა საოფისე ფართი, დამხმარე პერსონალი და შესაბამისი აღჭურვილობა და ა.შ.).

ბ. ქვეკონტრაქტორი თანახმაა საკუთარი ხარჯებით სრულად უზრუნველყოს დამხმარე პერსონალისა და დამოუკიდებელი კონტრაქტორების ქვეკონტრაქტორის სამუშაო ადგილიდან მოშორებით არსებულ სამუშაო ტერიტორიამდე და იქიდან წამოსასვლელი ტრანსპორტირების და თუ სხვაგვარად არ იქნა აღნიშნული კვებისა და ღამისთევის ხარჯები.

5. ანგარიშწარმოება/ანგარიშების წარდგენა

ქვეკონტრაქტორი სამუშაოს პროგრესის და სხვა შემთხვევების შესახებ წერილობით ანგარიშს წარუდგენს კონტრაქტორის პროექტის ხელმძღვანელს, ბ-ნ რობერტ ლ. ცემოვიჩს ან მის წერილობით უფლებამოსილ პირს. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ანგარიში უნდა მომზადდეს დანართ "ბ"-ში მოცემული "ანგარიშწარმოების მოთხოვნათა" შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებისა და ქვეკონტრაქტორის საქმიანობასთან დაკავშირებული კონტრაქტორისათვის წარდგენილი ყველა შეტყობინება, მიმართული უნდა იყოს კონტრაქტორის პროექტის ხელმძღვანელს ან მისი მისი უფლებამოსილი პირისადმი.

6. შეწყვეტა

ა) ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი მიზეზით კონტრაქტორის მიერ 5 დღის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორმა შეიძლება მოითხოვოს მხოლოდ ის კომპენსაცია, რომელიც გამომუშავებული აქვს კონტრაქტორის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენის თარიღისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტა ან შეჩერება შეიძლება მოხდეს უმიზეზოდ ან ქვეკონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, როგორც ეს ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული. გარდა ამისა, ხელშეკრულების შეწყვეტისას ქვეკონტრაქტორის უფლებები, მოთხოვნები და ვალდებულებები რომლებიც ამ ხელშეკრულების საფუძველზე წამოიჭრება, უქმდება.

7. დამოუკიდებელი კონტრაქტორი

გასაგებია და შეთანხმებულია, რომ ქვეკონტრაქტორი დამოუკიდებელი კონტრაქტორია და პასუხისმგებელია საშემოსავლო გადასახადზე, სოციალურ დაზღვევაზე და სხვა გადასახადებზე, რომლებსაც მას საქართველო აკისრებს. ქვეკონტრაქტორი თანახმაა აანაზღაუროს და კონტრაქტორს თავიდან ააცილოს რაიმე ხარჯები, მათ შორის გადასახადები, რომლებიც გამოწვეულია ქვეკონტრაქტორის მიერ საგადასახადო ან სხვა მათთან დაკავშირებული კანონების ნებსით თუ უნებლიედ დარღვევით.

93

მხარეები აღიარებენ, რომ როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორები, არც ერთი მხარე არ წარმოადგენს სხვა მხარის კანონიერ წარმომადგენელს ან აგენტს.

8. ანაზღაურება და უსაფრთხოება

ქვეკონტრაქტორი თანახმაა აანაზღაუროს და კონტრაქტორს თავიდან ააცილოს, ქვეკონტრაქტორის მხრიდან საქართველოს და მისი პოლიტიკური ქვე-დანაყოფების კანონების, წესების, ბრძანებულებების, დადგენილებების, პოლიტიკის და პროცედურების ნებსითი თუ უნებლიე დარღვევა. ქვეკონტრაქტორი თანახმაა აანაზღაუროს და კონტრაქტორს თავიდან ააცილოს ნებისმიერი დანაკარგი ან ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იქნება გამოწვეული ქვეკონტრაქტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების გაწევის შედეგად.

9. კონფიდენციალური ინფორმაცია

წინამდებარე ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების შესრულებისას, ქვეკონტრაქტორმა, მისმა კადრებმა და დამოუკიდებელმა კონტრაქტორებმა შეიძლება მიიღონ ინფორმაცია ("კონფიდენციალური ინფორმაცია"), რომელსაც კონტრაქტორი ან მისი კლიენტი კონფიდენციალურად მიიჩნევს. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ტექნიკურ, მარკეტინგულ, ოპერატიულ, ნოუჰაუს, ბიზნესის, ფინანსური ოპერაციის განხორციელების საკითხებს და ნებიმიერი ტიპის ინტელექტუალურ საკუთრებას, რაც კონტრაქტორის ან მისი კლიენტების ქონებას წარმოადგენს. ქვეკონტრაქტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების პროცესში მიღებული ყველა მონაცემი მიიჩნევა კონფიდენციალურად, თუ კონტრაქტორის მიერ სხვანაირად არ არის განსაზღვრული. არც ქვეკონტრაქტორი, მისი თამშროლებით და არც მისი დამოუკიდებელი კონტრაქტორები არც ერთ პირზე ან ორგანოზე არავითარი ფორმით არ გასცეენ კონფიდენციალურ ინფორმაციას, კონტრაქტორის უფლებამოსილი წაარმომადგენელის წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ პუნქტის ნებისმიერი დარღვევა შეიძლება საფუძვლად დაედოს აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტას, რის შედეგადაც არცერთი მხარე არ დაზარალდება და შესაძლებელი იქნება მომავალში კონტრაქტის განახლების ხელახალი გადასინჯვა.

10. ინფორმაციის საკუთრება.
მთელი ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში: ამობეჭდილი ვერსიებისა და ციფრობრივი ინფორმაციის ჩათვლით, წარმოადგენს კონტრაქტორის საკუთრებას სანამ არ გადაეცემა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

11. არაკონკურენტულობა

ქვეკონტრაქტორი ამ ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე და ხელშეკრულების დასრულებიდან <u>ერთი</u> თვის მანძილზე არ უნდა ჩაერთოს რაიმე სამსახურში ან საქმიანობაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონკურენციას უწევს აღნიშნულ პროექტს.

12. სხვადასხვა

ა) ინტეგრაცია. ეს ხელშეკრულება თანმხლებ დანართებთან ერთად <u>ა და ბ</u> წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას. საკითხებს, რომლებიც არ არის მინიშნებული ამ

94

ხელშეკრულებაში, არავითარი ძალა არა აქვთ. ამ ხელშეკრულების ნებისმიერ მოდიფიკაციას ან ცვლილებას, თუნდაც მცირედს, არავითარი ძალა არ ექნება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის, ქვეკონტრაქტორისა და კონტრაქტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ბ) დროის ფაქტორი. ამ ხელშეკრულებაში არსებითი ფაქტორია დრო.

გ) დავა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი პრეტენზია ან დავა, ან ხელშეკრულების დარღვევა, გამონაკლისის სახით ითვლება სასამართლო აკრძალვა, გამოწვეული კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების გამო, გადაწყდება არბიტრაჟში კომერციის საერთაშორისო პალატის "შეთანხმების/შერიგების და არბიტრაჟის წესების" შესაბამისად. დავა განიხილება, ზემოთ აღნიშნული წესების საფუძველზე დანიშნული ერთი ან მეტი არბიტრარის მიერ. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა განხილული იქნეს მსგავსი იურისდიქციის მქონე ნებისმიერ სხვა სასამართლოში. ორივე მხარე თანახმაა შეასრულოს ამ გადაწყვეტილების პირობები. ამ დებულების პირობები გრძელდება ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. დავის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ინგლისური ვერსიაა მიჩნეული მაკონტროლებლად.

დ) უფლებების შენარჩუნება. ვერც ერთი მხარე ვერ განაცხადებს უარს უფლებაზე, თუ ამის შესახებ არ გააკეთებს სათანადო განცხადებას წერილობითი ფორმით

ე) უფლებათა გადაცემის აკრძალვა. მხარეებისადმი მინიჭებული უფლებებით სარგებლობა მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ და ეს უფლებები არ გადაეცემა მესამე მხარეს, თითოეული მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ვ) უპირატესი კანონი. ეს ხელშეკრულება მოქმედებს და განიხილება ვირჯინიის თანამეგობრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონების თანახმად და არ ითვალისწინებს კანონის შეუსაბამობასთან დაკავშირებულ დებულებებს.

ზ) შესრულების პერიოდი. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ვადა მოიცავს პერიოდს ——————————— დან ——————————————მდე. ვადების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა საერთო წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

თ) ჩაბარების ვადები. მასალების ჩაბარების ვადები უნდა შეესაბამებოდეს დანართ ბ-ს, ნაწილ II-ს.

ი) მიღება. დასრულებულ სამუშაოს მიიღებს ბ-ნ რობერტ ლ. ცემოვიჩი ან მისი წერილობით უფლებამოსილი პირი ან პირები.

ხელისმოწერით მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ვალდებულებას, შეასრულონ 2000 წლის _____ დადებული ხელშეკრულება.

BOOZ ALLEN & HAMILTON INC.

_____: მიერ

სახელი, გვარი:_____

თანამდებობა:_____

თარიღი:_____

ქვეკონტრაქტორი

_____: მიერ

სახელი, გვარი:_____

თანამდებობა:_____

თარიღი:_____

BOOZ-ALLEN & HAMILTON INC.
ქვეკონტრაქტორის უფლებამოსილი
პიროვნება:

_____: მიერ

სახელი, გვარი:_____

თანამდებობა:_____

თარიღი:_____

76

ნაწილი I

სამუშაოს მოცულობა

ხელშეკრულება № _____ ქვეკონტრაქტორის მომსახურებაზე

სამუშაოს მოცულობა გულისხმობს მთელი მოთხოვნილი სამუშაოს შესრულებას, რომელიც მოიცავს: (1) საველე აზომვებს, (2) საკადასტრო რუკების მომზადებას, (3) შესაბამისი სარეგისტრაციო საბუთების მომზადებას და რეგისტრაციას, (4) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობების მომზადებას და გაცემას (5) სარეგისტრაციო ჟურნალებს და (6) ზემოთაღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვა ამოცანებსა და დავალებებს.

1. კერძო საკუთრებაში არსებულ ერთ ნაკვეთზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებისათვის ქვეკონტრაქტორი მიიღებს ანაზღაურებას არაუმეტეს 1.05 აშშ დოლარისა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხიდან 0.05 აშშ დოლარი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმ ხარჯების ასანაზღაურებლად რაც გაწეულია ასლების გაკეთებისა და საკუთრებისა და ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის შედგენისათვის დანართ ბ-ს ნაწილი IV, პუნქტი 4-ისა და დანართი ბ-ს ნაწილი IV, პუნქტი 5-ის თანახმად. ქვეკონტრაქტორი მიწის მხოლოდ იმ ნაკვეთებისათვის მიიღებს ანაზღაურებას, რომლებიც საპრივატიზაციო ფონდში შედის და საქართველოს მოქალაქეებს გადაეცათ საკუთრებაში "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონისა" და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონების, ბრძანებულებების და ნორმატიული აქტების თანახმად.

ამ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები შემდეგნაირად განისაზღვრება:

კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები აღნიშნავს იმ ნაკვეთებს, რომლებიც მიწის საპრივაზტიაციო ფონდში შედის და გადაეცათ საქართველოს მოქალაქეებს. ამაში არ შედის საკარმიდამო ნაკვეთები, თუ კონტრაქტორისგან ამის შესახებ წერილობითი უფლებამოსილება არ იქნება მინიჭებული.

სოფელი აღნიშნავს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ერთიანობას, რაც რამდენიმე ყოფილ სახელმწიფო მეურნეობასა ან კოლმეურნეობას ეკუთვნოდა და შემდეგ საკუთრებაში გადაეცა ყოფილი სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წევრებს და მდებარეობს სოფლის ან საკრებულოს ადმინისტრაციულ ფარგლებში.

ერთი კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთისათვის კომპენსაციაა 1.05 აშშ დოლარი, საიდანაც 0.05 აშშ დოლარი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმ ხარჯების ასანაზღაურებლად რაც გაწეულია ასლების გაკეთებისა და საკუთრებისა და ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის შედგენისათვის დანართ ბ-ს ნაწილი IV, პუნქტი 4-ისა და დანართი ბ-ის ნაწილი IV, პუნქტი 5-ის თანახმად.

ეს ცხრილი წარმოადგენს იმ სოფლების სიას, რომლებიც უნდა შეეიდეს სამუშაოს მოცულობაში. აღსანიშნავია, რომ ზოგი სოფელი შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ იყოს დამთავრებული წინა ქვეკონტრაქტით (ქვეკონტრაქტებით). მიწის ნაკვეთების რაოდენობა მოპოვებულია ადგილობრივი მიწის მართვის სამმართველოს ოფიციალური ჩანაწერებიდან და მათი სიზუსტე დამოწმებულია.

რაიონი----------

სოფელი	ნაკვეთების რაოდენობა	ანაზღაურება აშშ დოლარებში
ჯამი		

2. თითოეული სოფლისთვის სამუშაოს მოცულობაში შედის:

ა. სამუშაოების მომზადება და დაწყება
ბ. აზომვები ველზე და ოფისში ჩატარებული კომპიუტერული სამუშაოები.
გ. საკადასტრო რუკების მომზადება და მმსდ-ს რიონული სამსახურების მიერ მათი დამტკიცება

დ. სარეგისტრაციო საბუთების წარმოება (აქ შედის, - სარეგისტრაციო ბარათები, განცხადებები, საკადასტრო გეგმები და ა.შ. მაგრამ ეს ჩამონათვალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტებით) და მმსდ-ს რაიონული სამსახურების მიერ მათი ოფიციალური დასტურის მოპოვება, რაც საბუთების რეგისტრაციით დადასტურდება.

ქვეკონტრაქტორის ხელმოწერა

კონტრაქტორის ხელმოწერა

პროექტის ხელმძღვანელი

[illegible] მოწმობის წარმოება და მმსდ-რაიონული სამსახურის მიერ მათი დამოწმების და მესაკუთრეებზე გაცემის უზრუნველყოფა.

ვ. სარეგისტრაციო ჟურნალების მომზადება და ყოველ ჩანაწერზე რეგისტრატორის ხელმოწერის უზრუნველყოფა.

3. ქვემოთ მოყვანილია წარსადგენი შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ ა-ს II ნაწილის მე-5 და მე-8 პუნქტებში:

ა) საველე ჟურნალები; (იხ. თანდართული ფორმატი. დანართი ა, ნაწილი II-ა).

ბ) აგეგმვის ანგარიში თითოეული სექტორისთვის (საკრებულოსათვის).

გ) მიწის ნაკვეთების გეგმები რომლებიც, რეგისტრატორის მიერაა ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და რეგისტრაციაში გატარებული.

დ) საკადასტრო ინდექსური რუკები, რომლებიც რეგისტრატორის მიერაა ხელმოწერილი და ბეჭედდასმული

ე) ციფრობრივი კოორდინატების და ტექსტობრივი ფაილები, რომლებიც მომზადდა LAND CAD-ით და DXF ფაილები საკადასტრო ინდექსური რუკებისათვის.

ვ) ადგილობრივ მიწის მართვის სამმართველოში ხელმოწერილი, ბეჭედ-დასმული და რეგისტრაციაში გატარებული სარეგისტრაციო მოწმობები (ამობეჭდილი ორიგინალი რეგისტრატორთან);

ზ) რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და მესაკუთრეზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობები. (ამობეჭდილი ორიგინალი სპეციალურ ფორმაზე რეგისტრატორთან);

თ) მომზადებული და მესაკუთრის მიერ ხელმოწერილი განცხადებები.

ი) რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი სარეგისტრაციო ჟურნალები.

კ) სარეგისტრაციო ბარათის მონაცემთა ბაზის ციფრობრივი ჩანაწერები კონტრაქტორს.

ლ) ორ კვირაში ერთხელ შედგენილი ანგარიშები მომზადებული სარეგისტრაციო ბარათების, მიწის ნაკვეთების გეგმების და სარეგისტრაციო მოწმობების შესახებ.

მ) პროექტის ანგარიში ყოველ სექტორზე (საკრებულოზე).

ნ) რეგისტრატორისთვის მიწოდებული ანგარიშების ასლები.

მთელი სამუშაო უნდა შესრულდეს დანართ „ა"-ს, II ნაწილის , სპეციფიკაციების, შესაბამისად.

4. ქვეკონტრაქტორი თანახმაა, დაიწყოს პუნქტ 2-ში მოცემული სამუშაოები მაშინვე, როგორც კი მიიღებს კონტრაქტორისგან საუშაოს დაწყების ორდერს და დაამთავროს სამუშაოები თითოეული სოფლისათვის შედგენილი განრიგის შესაბამისად, რომელიც თანდართულია ხელშეკრულებაზე. ყოველ ახალ სოფელში სამუშაოს დაწყებამდე ქვეკონტრაქტორმა უნდა მიიღოს კონტრაქტორისგან სამუშაოს დაწყების ორდერი, როგორც ეს მოცემულია დანართ ა-ს III ნაწილში.

5. კონტრაქტორი ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ამ დანართის პირველ პუნქტში მოცემულ სოფლების სია ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ მომენტში. ქვეკონტრაქტორი თანახმაა, რომ მოხდეს ცვლილება აქ აღნიშნულ პირველ

[illegible] სოფლების სიაში და კისრულობს ვალდებულებას, ახლად დასახელებულ სოფლებში ჩაატაროს შესაბამისი სამუშაოები იგივე ანაზღაურებით.

6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი ჩატარებული სამუშაოების მთლიანი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ---------- აშშ დოლარს.

7. ანაზღაურება მოხდება დანართ ა-ში განსაზღვრული სამუშაოს შედეგების და დანართ „ბ"-ში მოცემული განრიგის მიხედვით სამუშაოების დასრულების და ჩაბარების შემდეგ.

8. ამ ხელშეკრულებით გათვალსიწინებული სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი მოთხოვნები

რაიონი ----------

მოთხოვნები	მოთხოვნილი რაოდენობა	გამოთვლილი ფასი
საველე აღჭურვილობა		
თეოდოლოტი (30" სიზუსტის)		
სამფეხა შტატივები		
საველე ბაფთები –50 მეტრის		
ლარტყები		
საველე ბრიგადა		
სპეციალისტები		
დამხმარე მუშები		
საოფისე აღჭურვილობა		
პერსონალური კომპიუტერი(ები) – Pentium II		
ლაზერული პრინტერები/ქსეროქსები		
LANDCAD-ის ლიცენზია		
Windows 98- ის ლიცენზიები		
Microsoft Word 97-ის ლიცენზიები		
UPS – ენერგიის დაცვა		
გენერატორი – 3 კვტ.		
მაგიდები და ლამფები		
საკანცელარიო საქონელი		
ზიფ-დრაივერები, ბექაფირებისათვის		
ოფისის პერსონალი		
უფროსი		
კომპიუტერის სპეციალისტი		
კომპიუტერის ოპერატორები		
ინფორმაციის შემდგენები		

ქვეკონტრაქტორის ხელმოწერა

კონტრაქტორის ხელმოწერა

პროექტის ხელმძღვანელი

7 [illegible], 2000

100

დანართი ა.
ნაწილი II

სპეციფიკაციები

ქვეკონტრაქტორის მომსახურებაზე დადებული № _____ ხელშეკრულებისათვის

ტექნიკური სტანდარტები და ინსტრუქციები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების აგებგმვის, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმების, საკადასტრო საინდექსო რუქების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე სარეგისტრაციო ბარათების, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და სარეგისტრაციო მოწმობების მომზადებისათვის

1. ზოგადი დებულებები აგებგმვისათვის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმებისა და საკადასტრო საინდექსო რუქების მომზადების შესახებ

1.1 ეს ტექნიკური სტანდარტები და ინსტრუქციები მომზადდა "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 1 ნოემბრის №2-48 ბრძანების "მიწის (უძრავი ქონების) სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურების ჩამოყალიბებისა და საჯარო რეესტრის (საადგილმამულო წიგნის) ფორმულარების დამტკიცების შესახებ", "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისა და საქართველოს მოქალაქეებზე სარეგისტრაციო მოწმობების გაცემისათვის საჭირო გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" პრეზიდენტის ბრძანებულების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

1.2. ეს ტექნიკური სტანდარტები განსაზღვრავს საზღვრების აგეგმვის პროცედურას, რაც დაკავშირებულია მიწაზე საკუთრების უფლებების სარეგისტრაციო ბარათებში, მიწის ნაკვეთის გეგმებში შეტანასთან და შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობების გამოცემასთან, როგორც ეს განსაზღვრულია პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანების დანართებში.

1.3. ეს სპეციფიკაციები შესაძლოა შეიცვალოს ნებისმიერ დროს კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის ორმხრივი თანხმობის საფუძველზე.

1.4. აგეგმვითი სამუშაოების განხორციელების მიზნით, ამგეგმავმა ზონის რეგისტრატორისგან, რაიონის საკრებულოსგან ან სხვა ადგილობრივი ერთეულებისგან უნდა მოიპოვოს სათანადო მასალები, მათ შორის:

ა) მიღება-ჩაბარების აქტების ასლები; (სადაც შესაძლებელია);

ბ) ფართო მასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკები, გამოყოფის გეგმები და სხვა რუკები, გეგმები ან ესკიზები;

გ) მესაკუთრეთა განაწილების ოფიციალური სიების ასლები ან საჭიროების შემთხვევაში საგადასახადო სიების ასლები;

დ) წინასწარი ნახაზები სექტორში იმ ნაკვეთების განლაგების შესახებ, რომლებიც მიწის რეფორმის პროცესში იქნა გამოყოფილი. ამ ნახაზზე აღნიშნულია:

- მიწის ნაკვეთების ნომრები
- მესაკუთრის სახელი, გვარი და მამის სახელი.
- მესაკუთრეზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი ან კომლის რიგითი ნომერი განაწილების ან საგადასახადო სიებიდან.
- მესაკუთრის მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (მაგ: მოქალაქის საიდენტიფიკაციო ნომერი, პასპორტის ნომერი, მართვის მოწმობის ნომერი).

ე) დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებს არსებული და შემოთავაზებულ საინჟინრო ნაგებობების (საკომუნიკაციო ხაზების, გაზის მილების, წყალსადენი მილების, ენერგიის მიმწოდებელი ხაზების), დამცავი ზონების განლაგებას და მათი მოხმარების პირობებს.

ვ) სექტორში არსებული კვარტლების მაჩვენებელი გრაფიკული მასალები.

ზ) სხვა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეკონტრაქტორს ნაკვეთების ასაგეგმად საჭირო ინფორმაციით.

1.5. ქვეკონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ამ კონტრაქტით დაქირავებული პერსონალი სულ მცირე შემდეგი ასაგეგმი და საოფისე აღჭურვილობით:

<u>ბრიგადები:</u>

ბრიგადებში როგორც წესი შევა 2-დან 3 კაცამდე სულ მცირე ერთი სპეციალისტით თითო ბრიგადისათვის. თითო ბრიგადა დაასრულებს 50-დან 100-მდე მიწის ნაკვეთის აგეგმვას დღეში, ეს დამოკიდებული იქნება ნაკვეთის ზომაზე და რელიეფის ტიპზე. იმისათვის, რომ აიგეგმოს სოფელში არსებული მიწის ნაკვეთების გარკვეული რაოდენობა, ქვეკონტრაქტორმა სამუშაოში უნდა ჩართოს საჭირო რაოდენობის ბრიგადები და საოფისე გუნდები, რათა მოთხოვნილი სამუშაო მოცემულ დროში, დანართ ბ-ს II ნაწილში მოცემული ცხრილის შესაბამისად დასრულდეს. <u>თითო ბრიგადისათვის</u> საჭიროა შემდეგი აღჭურვილობა:

- თეოდოლიტი – არა უმცირეს 30" სიზუსტით;
- სამფეხა შტატივი – 1;
- ლარტყა -2
- ელექტრო მანძილმზომი აღჭურვილობა (სადაც შეასძლებელია);
- ამგეგმავის საზომი ბაფთა 50 მეტრის სიგრძისა - 2;
- გეოდეზიური სახაზავი – 2;
- საველე ქოლგა - 1
- ნიჩაბი – 1;
- კუალდა – 1;
- საველე ჟურნალები, საჭირო დოკუმენტები და რუკები;

ამ ხელშეკრულებით მოთხოვნილი ხელსაწყოების ჩამონათვალი იხილე დანართი „ა" ნაწილი I, მე-8 პუნქტი.

102

საოფისე გუნდი:

ამ კონტრაქტით დაქირავებული თითო საოფისე გუნდისათვის ქვეკონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სულ მცირე საოფისე ფართი და ქვემოთ ჩამოთვლილი საოფისე აღჭურვილობა: (საოფისე გუნდში იმუშავებს ორი ადამიანი, რომლებიც ერთად შეადგენენ ინფორმაციას და კომპიუტერში შეიტანენ როგორც აგეგვით ინფორმაციას ასევე სარეგისტრაციო ბარათის მონაცემებს) ერთი საოფისე გუნდი შესძლებს ორი ბრიგადისაგან ყოველდღიურად მოწოდებული ინფორმაციის შედგენას. კონტრაქტორის მიერ დამტკიცებული სულ მცირე ერთი კომპიუტერის სპეციალისტი უნდა იყოს პასუხისმგებელი კომპიუტერის სამუშაოებზე და ციფრობრივი ფაილების
წარმოებაზე.

- პერსონალური კომპიუტერი -1
- ლაზერული პრინტერი/ქსეროქსი -1
- კომპიუტერული პროგრამა:(LANDCAD, Windows 98, Microsoft Word 97)
- UPS - ენერგიის შეუზღუდავი მოწოდება.
- გენერატორი 3 კვტ, (უზრუნველყოფს 4 კომპიუტერის ენერგიით მომარაგებას);
- სხვადასხვა საოფისე მოწყობილობები.
- მაგიდები, სკამები და მაგიდის ლამფა ოფისის საჭიროებიდან გამომდინარე.
- სანდო სატელეფონო კავშირი.

ამ ხელშეკრულებით მოთხოვნილი ხელსაწყოების ჩამონათვალი იხილე დანართი „ა" ნაწილი I, მე-8 პუნქტი.

2. აბეგმვა

ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით საჭიროა შემდეგი ტერმინების განსაზღვრა:
ზონა - საქართველოს კანონში „მიწის რეგისტრაციის შესახებ" განსაზღვრული ადმინისტრაციული რეგიონი, რომელიც როგორც წესი განისაზღვრება, როგორც რაიონი.

სექტორი - ზონის ადმინისტრაციული დანაყოფი, ძირითადად საკრებულოებისა და ქალაქების რაიონების მიხედვით.

კვარტალი – ერთ სექტორში (საკრებულოში) მმსდ-ს მიერ განსაზღვრული ფართობი, რომელშიც შედის ერთი ან მეტი ასაგეგმი ბლოკი.

ასაგეგმი ბლოკი – ერთ ადგილზე თავმოყრილი ნაკვეთების ერთობლიობა – ერთ კვარტალში ერთი ან რამდენიმე ასაგეგმი ბლოკი შეიძლება არსებობდეს.

მიწის ნაკვეთი - ერთი კომლის მიერ გამოყენებული (არა საკარმიდამო) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთი ცალკეული ნაკვეთი ან ფართობი, რომელიც გამოყოფილ იქნა საქართველოს კანონის "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ" და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონების, ბრძანებულებების და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ნიშანი - ბუნებრივად არსებული ან ადამიანის შექმნილი საგანი ან რელიეფის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც აღნიშნულია ფართო-მასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუქაზე ან აერო-ფოტოსურათზე (მაგ: დიდი შენობა, ელექტრო გადამცემი ბოძი, გზების გადაკვეთა ა.შ.);

2.1. თითო აგემვისათვის საველე ჟურნალი უნდა შეივსოს ველზე და უნდა შეიცავდეს ნათელ და დეტალურ ჩამონათვალს აგეგმვასთან დაკავშირებით ან აგეგმვის პროცესში ველზე შესრულებულ, მოძებნილ ადა აღმოჩენილ მოვლენებზე (საგნებზე). ამ ნაწილში აღწერილი აგეგმვითი სამუშაოები ისახავს შემდეგ სამ მიზანს:

ა) არსებული ასაგეგმი ბლოკის საზღვრების და ნიშნების იდენტიფიკაცია და მათი ადგილ-მდებარეობის განსაზღვრა.
ბ) ასაგეგმი ბლოკის ნიშნების არარსებობის შემთხვევაში მათი განლაგება (ნაწილი 2.2-2.3);
გ) ასაგეგმი ბლოკის ნიშნებს და დგომის წერტილებს შორის პოლიგონომეტრიული სვლის გატარება მთელ ბლოკზე მოთხოვნის შესაბამისად (ნაწილი 2.4 და 2.5);
დ) ცალკეული მიწის ნაკვეთების აგეგმვა, რომლის დროსაც ასაგეგმი ბლოკის ნიშნები და დგომის წერტილები გამოყენებულია საფუძვლად. (ნაწილი 2.6 –2.10);

2.2 ასაგეგმი ბლოკის ნიშნების ადგილმდებარეობის შერჩევა დაიწყება ბლოკის წინასწარი დაზვერვით. ირკვევა და დგინდება ადგილები ასაგეგმი ბლოკის ნიშნების განლაგებისთვის. თითოეული ასაგეგმი ბლოკისათვის ამგეგმავი ადგილზე დაამაგრებს ასაგეგმი ბლოკის ნიშანს ან მუდმივ დგომის წერტილებს ასაგეგმი ბლოკის საზღვრის მინიმუმ სამ კუთხეში.

2.3. ასაგეგმი ბლოკების ნიშნები და მუდმივი დგომის წერტილები უნდა იყოს დამზადებული გამძლე მასალისაგან (ცემენტის ან ფოლადის მილები) და უმჯობესია იყოს სულ მცირე 1 მეტრის სიგრძისა. შესაძლოა ადგილზე იოლად მოპოვებადი მასალების გამოყენება (მაგ: სარები, სამშენებლო ფოლადი). ეს ნიშნები მიბმული იქნება მუდმივ ნიშნებთან ადგილზე (მაგ: შენობის კუთხეები, ელ.ენერგიის გადამცემი ბოძები ა.შ.) სადაც ეს შესაძლებელია და სადაც პრაქტიკულია ეს სასაზღვრო ბოძები დანომრილი იქნება თითოეული კვარტლისთვის.

ნიშნებისა და დგომის წერტილების მიბმა



სვლები:

2.4. შეკრული პოლიგონომეტრიული სვლის აგეგმვა უნდა განხორციელდეს ასაგეგმი ტერიტორიის თითოეული ასაგეგმი ბლოკის პერიმეტრის გაყოლებაზე ან მის ახლოს და სადაც უმჯობესია, ასაგეგმი ბლოკის შიგნით. ეს სვლები გამოიყენება, როგორც საფუძველი აგეგმვის დგომის წერტილების ქსელისათვის, რომელიც მომავალში შესაძლოა მიემაგროს სახელწიფო საკონტროლო ქსელს. თუ არსებობს სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის წერტილი ასაგეგმი კვარტლიდან 0,5 კმ-ს მანძილის ფარგლებში, ამგეგმავი უკავშირებს კვარტლის სულ მცირე ერთ კუთხეს სახელმწიფო ქსელის წერტილს და გამოიანგარიშებს კოორდინატებს სახელმწიფო კოორდინატთა სისტემაში. თუ ამგვარი წერტილები არ არსებობს, ამგეგმავს მოეთხოვება შეასრულოს გეოგრაფიული მიბმის აზომვები კვარტლის ბოძებიდან (ნიშნები) და სვლის საყრდენი წერტილებიდან ასაგეგმი ბლოკის ფარგლებში სულ მცირე ორ იდენტიფიცირებად ნიშანთან ქვეყნის ტოპოგრაფიულ, ფართომასშტაბიან რუკაზე. სვლის მიმართულებები უნდა განისაზღვროს სოლარული აზიმუტის დაკვირვების გზით ან ზუსტი კომპასის საშუალებით. კუთხეები და მანძილები გაიზომება ორჯერ. თითოეული გაზომვა დაფიქსირდება საველე ჟურნალში, ისევე როგორც გაზომვების საშუალო შედეგები. სვლისთვის დასაშვები ცდომილების მაქსიმუმია:

წრფივი: D/2 000
სადაც "D" უდრის პოლიგონის მანძილს

კუთხობრივი: მაქსიმალური გადახრა: 20"(N)
სადაც "N" უდრის კუთხეთა რაოდენობას

გეოგრაფიული მიბმა ნიშნებისა ან დგომის წერტილებისთვის, რომლებიც ფართო მასშტაბიან ტოპოგრაფიულ ან აეროფოტოებზე ჩანს:



2.5. მას შემდეგ რაც პერიმეტრის პოლიგონომეტრიული სვლა ქსელი გაწონასწორდება, შიდა დგომის წერტილები დამაგრდება ზემოთ აღნიშნულ სვლაზე დაყრდნობით და სადაც პრაქტიკულია მოინიშნება დროებითი ხის ან ფოლადის ნიშნებით.

ნაკვეთის საზღვრები:

2.6. მიწის ნაკვეთთა საზღვრები, გზები და ბილიკები (გასასვლელები) უნდა აიგეგმოს დაკავების (არსებული) საზღვრების მიხედვით ნაკვეთების გამოყოფის რუქებისა და/ან მიწის მიღება-ჩაბარების აქტების ესკიზების გამოყენებით. მიწის ნაკვეთთა საზღვრები უნდა გაიზომოს პირდაპირ იქ, სადაც პრაქტიკულია ან მიწის ნაკვეთთა კუთხეები გაიზომება ასაგეგმი ბლოკის სვლასთან მიმაგრებული სვლის საყრდენი წერტილებიდან, რომლებიც მიმაგრებულია ასაგეგმი ბლოკის სვლასთან ან ასაგეგმი ბლოკის სასაზღვრო ბოძიდან თითოეული ტერიტორიისთვის მისადაგებული აგეგმვის სტანდარტული ტექნიკის გამოყენების გზით. საჭირო გაზომვები განხორციელდება, რათა განისაზღვროს მიწის ნაკვეთი, უსწორმასწორო საზღვრების ჩათვლით, როგორიცაა ნაკადულები, მდინარეები და ა.შ., სხვისი ტერიტორიის გამოყენების ყველა საჯარო და კერძო უფლება, როგორიცაა უფლება ააგო მილსადენები, გაიყვანო ელექტროხაზები, გზები, გაიარო სხვისი ტერიტორია შენს ნაკვეთამდე მისასვლელად, და სხვა მახასიათებლები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მიწის ნაკვეთის საზღვარზე.

2.7. მესაკუთრის მიერ განთავსებული ნაკვეთის კუთხეების ნიშნები უნდა მიღებულ იქნეს, როგორც ოფიციალური ნაკვეთის კუთხე, თუ არ არსებობს რაიმე დასაბუთებული ეჭვი ამ კუთხეების წარმოქმნისა. ყველა განთავსებული და არსებული ნიშნის აღწერა უნდა ჩანიშნულ იქნეს საველე ჩანაწერებში სახეობათა მიხედვით, 4.1. პუნქტში მოცემული კოდირების სისტემის ცხრილის შესაბამისად. სადაც შესაძლებელია უნდა დადგინდეს საზღვრების სახეობა, 4.2. ნაწილში მოცემული ცხრილის შესაბამისად.

იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბლოკში არსებული ნაკვეთი მთლიანად ან მისი ნაწილი არის თანასარგებლობაში. თუკი არ არსებობს გამოკვეთილი საზღვრები მიწაზე მაშინ ინდივიდუალური ნაკვეთების ფართობის დადგენის დროს ბლოკის მთლიანი ფართობი უნდა იქნეს გათვალისწინებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბლოკში არსებული ფართობი ყველა ნაკვეთზე უნდა გადანაწილდეს პროპორციულად. შესაბამისად, ბლოკის ფართობში არსებული ნებისმიერი შეუსაბამობა უნდა გადანაწილდეს ყველა ნაკვეთზე. იმ შემთხვევაში თუ ბლოკში ზოგი ნაკვეთის საზღვრები ჩანს, მაშინ ეს საზღვრების მისადაგება და ფართობის ბალანსირება მოხდეს დაკავებული ნაკვეთების საზღვრების სრული გათვალისწინებით.

გზები:

2.8. ბლოკის მიმდებარე გზების და ბილიკების საზღვრები უნდა აიგეგმოს. საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, გზების იურიდიული საზღვრები არ არის დადგენილი და გზის ან ბილიკის სავალი ნაწილი შეიძლება მერყეობდეს დაახლოებით 3-დან 15 მეტრამდე. გზების თავდაპირველი იურიდიული სიგანის დადგენა ხშირად შეუძლებელია თუ ეს საზღვრები ღობეებით არ არის გამოყოფილი. ღობის არსებობის შემთხვევაში მათი განლაგება აგეგმვის საშუალებით უნდა მოხდეს და ისინი გამოყენებულ იქნას როგორც გზების საზღვრები. თუკი ღობე არ არსებობს, მაშინ სავალი გზის ნაწილის საზღვრები უნდა აიზომოს და გზების სიგანის დასადგენად მესაკუთრეების მიერ დაკავებული ნაკვეთების საზღვრებსა და გზის ცენტრალურ ხაზს შორის მანძილი უნდა იქნას გამოყენებული.

აგეგმვის მიზნით, თუკი არ არსებობს გზის საზღვრების მაჩვენებელი ნაკვეთის გამოკვეთილი საზღვრები, მაშინ უნდა აიგეგმოს ამ გზის სავალი ნაწილის ცენტრალური ხაზი და გაიზომოს სავალი ნაწილის სიგანე. შემდგომ, გზის იურიდიული საზღვარი დაწესდება მმსდ-ს სამმართველოსთან და რეგისტრატორთან შეთანხმებით და ეს საზღვარი დაიტანება საკადასტრო გეგმებზე და რუკებზე.

გზების ზოგადი მიმართულების განსაზღვრისათვის უნდა შესრულდეს საკმარისი აზომვები გზების საზღვრების გასწვრივ ასაგეგმი ბლოკის კუთხეების გარეთ. ყველა ნაკვეთს უნდა ჰქონდეს ფიზიკური იურიდიული მისასვლელი ან სხვა იურიდიული მისასვლელი საერთო ნაკვეთზე გავლით. იმ ნაკვეთებს, რომლებსაც მოიცავს სხვა ნაკვეთები ან ჩაკეტილია სხვა ნაკვეთებით უნდა ჰქონდეს აგეგმვით დადგენილი იურიდიული მისასვლელი ან ამგეგმავმა მის ჟურნალში უნდა მიუთითოს, რომ ამ ნაკვეთთან მისასვლელი გადის, რომელიმე სხვა კონრეტულ ნაკვეთზე. შესაბამის სარეგისტრაციო ბარათში (ბარათებში) გაკეთდება შემდგომი მითითება სერვიტუტზე.

იურიდიული მისასვლელი ნაკვეთთან

2.9 ზოგ შემთხვევაში, ნაკვეთების გამოყოფა მოხდებოდა ოფიციალური მისასვლელი ბილიკის გარეშე (ნაკვეთი 5 ქვემოთ მოცემულ სურათზე); ეს ნაკვეთი ჩაკეტილი იქნება სხვა ნაკვეთებით, მესაკუთრისათვის სათანადო მისასვლელის

მითითების გარეშე. კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია ყველა ნაკვეთს ჰქონდეს იურიდიული მისასვლელი. ზოგ შემთხვევაში, მესაკუთრეებს შორის იქნება შეთანხმება ერთ ნაკვეთზე ან მიმდებარე ნაკვეთის გარკვეულ ნაწილზე გამავალ მისასვლელთან დაკავშირებით. თუკი აგეგმვის დროს ნაკვეთთან მისასვლელი არანაირი ხილული ბილიკი არ იქნა აღმოჩენილი, მაშინ აუცილებელი იქნება მესაკუთრესთან დაკავშირება და მისასვლელის დადგენა. შემდგომ აუცილებელი იქნება აგეგმვის შედეგად მოხდეს მისი განლაგება ან მისასვლელის სახეობის (მაგ: მე-4 ნაკეეთზე გავლით) მითითება, რათა სარეგისტრაციო ბარათში სათანადო ჩანაწერი გაკეთდეს.



საერთო საძოვარი

აგეგმვის დამცავი ზონები და სერვიტუტები

2.10. სერვიტუტის საზღვრები უნდა იყოს სახელმწიფო ელ.გადამცემი ხაზები და წყლისა რხები, რომლებიც ამ მიწების პრივატიზაციამდე არსებობდა. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, პრივატიზებული მიწები, რომლებსაც ეს სერვიტუტები კვეთს, არ არის სახელმწიფო საკუთრებაში. ეს მიწები კერძო საკუთრებაშია და შესაბამისად გატარდება რეგისტრაციაში. თუმცა, იმისათვის რომ სახელმწიფომ დაიცვას ეს ხაზები მოხდა მათი კლასიფიცირება როგორც დამცავი ზონებისა და მესაკუთრეზე დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები ამ მიწით სარგებლობისას. მესაკუთრე აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხაზებთან მისასვლელი.

ელ.გადამცემი ხაზების დამცავი ზონების საზღვრების დასადგენი დებულებები დაწესებულია დებულებით "1000 ვოლტზე მაღალი ელექტრო ძაბვის ქსელების დაცვის წესების შესახებ", 1993.

ელ.გადამცემი ხაზების დამცავი ზონის საზღვრები დაწესებულია ამ ხაზებში გამავალი ძაბვის სიმაღლეზე ვოლტებში და კაბელების სისქეზე (კაბელების სესქეზე); ქვემოთ ცხრილში მოცემულია ზონების სიგანის დადგენის დეტალები. მაგ: იმ ელ.გადამცემი ხაზებისთვის, რომლებშიც 20 კილოვატი დენი გადის და კაბელი 2 მეტრის სისქისაა, დამცავი ზონის სიგანე იქნება 10+10+2=22 მეტრი. სხვა სიტყვებით, დამცავი ზონის საზღვრები დგინდება ყოველი გვერდიდან 10 მეტრის მანძილზე კაბელის გარშემოწერილობიდან ვერტიკალური ხაზის გასწვრივ.

108

ელ.გადამცემი ხაზების დამცავი ზონის საზღვრები

ელ.გადამცემ ხაზებში ძაბვის სიმძლავრე კილოვოლტებში	მანძილი ყოველი კაბელის გარშემოწერილობიდან მეტრებში
20	10
35	15
110	20
150;220	25
330;400;500	30
750•	40
1150	55

ზემოთ მოცემული ხაზების საყრდენი სტრუქტურებისთვის, რომლებიც საფუძველში უფრო განიერია ვიდრე კაბელები, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ დამცავი ზონის ამ სტრუქტურის გარშემო განისაზღვრება ზემოთ მოცემული ზომების გამოყენებით სტრუქტურის საფუძვლიდან. მაგ: პირველ შემთხვევაში 20 კილოვატიანი სტრუქტურა, რომელიც 4 m^2, დამცავი ზონის საზღვარი ამ სტრუქტურის საფუძველის გარშემო იქნება 10 მეტრზე. ამ დამცავი ზონის ზომები იქნება 24 მეტრეს X 24 მეტრამდე.

მიწისქვეშა ელ.გადამცემი ხაზების დამცავი ზონებისათვის იგივე დებულებები გამოიყენება მაგრამ ზონის სიგანე განსხვავებულია. დამცავი ზონის სიგანე დგინდება 1 მეტრის მანძილით მიწისქვეშა ელ.გადამცემი ხაზის გარშემოწერილობის ნებისმიერი მხრიდან. მაგ: 1 მეტრის სიგანის მიწისქვეშა ელ.გადამცემი ხაზის დამცავი ზონა იქნება 1+1+1=3 მეტრი.

სარწყავი მილებს, არხებს, თხრილებს და სხვა აგრეთვე გააჩნიათ დამცავი ზონები. ამ წყლის მომარაგების სისტემებს მოიცავს „მიწის მელიორაციის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონების დებულებები და აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულება „წყლის დამცავი ზოლის შესახებ" №59, 07.05.98. 1992 წელს პრივატიზებული მიწები, რომლებსაც ეს წყლის არხები და მილები კვეთს კერძო საკუთრებაშია, თუმცა მათზე გარკვეული შეზღუდვები არსებობს. თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული, ამ ზონების სიგანე დგინდება 4 მეტრზე არხის, მილის, თხრილის ან სხვა წყლის გადასაცემი საშუალებების რომელიმე მხრიდან. მაგ: 2 მეტრის სიგანის არხს ექნება დამცავი ზონა სიგანით 4+4+2=10 მეტრი.

საპრივატიზაციო ფონდში შესული საკარმიდამო ნაკვეთებისათვის აუცილებელია საკადასტრო გეგმაზე შენობების და სხვა ნაგებობების "სხვა უძრავი ქონების" განლაგება. საჭიროა სათანადო აგეგმვების ჩატარება ნაკვეთის შენობების საზღვრების განლაგებისათვის. არ არის აუცილებელი შენობის თითოეული დეტალის გაზომვა, შენობის ძირითადი პერიმეტრის დადგენაც საკმარისია გეგმაზე დასატანად. ეს როგორც წესი ხდება ცნობილი დგომის წერტილიდან ან ნაკვეთის

კუთხიდან ორი კუთხის და მანძილის გაზომვით და სახლის ორი გვერდის აზომვით (შენობების უმეტესობა მართკუთხაა). ქვემოთ ნახაზზე მოცემულია ეს შემოთავაზებული მეთოდი:



შენობების კუთხეების კოორდიანტები გამოითვლება LandCad-ით და გადმოცემული იქნება როგორც ცალკე ნაკვეთი, ჩვეულებრივი ნაკვეთისგან განსხვავებული ნაკვეთის კოდით.

მისასვლელი გზები ან ბილიკები

2.12 სერვიტუტის ან უზუფრუქტის არსებობის შემთხვევაში (მაგ: მისასვლელი ბილიკი, წყალთან მისასვლელი, საქონლის გასავლელი გზა და სხვა) და იმ შემთხვევაში თუ ნაკვეთის კონკრეტული ნაწილზე მათ რაიმე გავლენა აქვთ, მაშინ აუცილებელია ამ მისასვლელების საზღვრების დადგენა. ამ სერვიტუტებისა ან უზუფრუქტის საზღვრები უნდა დადგინდესსაველე აზომვებით და უნდა გაკეთდეს მიბმა ნაკვეთების საზღვრებთან რათა შესაძლებელი იყოს მათი გეგმებზე და რუკებზე ჩვენება. რუკაზე ან გეგმაზე მათი დატანა, როგორც წესი, უნდა მოხდეს წყვეტილი ხაზებით რათა ნაჩვენები იყოს რომ ეს შეზღუდული უფლებების ადგილებია. სადაც შესაძლებელია ამ ტერიტორიის ზომები უნდა იყოს ნაჩვენები, ამგრამ როდესაც ზომები მოცემული არ არის ამან არ უნდა

არასწორად შეტანილი ინფორმაცია უნდა გადაიხაზოს ერთი ხაზით და ახალი სიდიდეები შეტანილ იქნას ცალკე. ცვლილებები კუთხეებსა ან ხაზებში უნდა მითითებულ იქნას შემდეგნაირად საჭიროების შემთხვევაში, "იხილით გვერდი—, საველე ჟურნალის ნომერი —" ა.შ.

ანგარიშები

2.14. აგეგმვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა მომზადდეს ტექნიკური ანგარიში. ამ ანგარიშში უნდა აღწერილ იქნეს აგეგმვის მეთოდები, შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გამოყენებული აღჭურვილობის მახასიათებლები. ასევე უნდა დაფიქსირდეს სასაზღვრო დავები და რაიმე უჩვეულო შემთხვევები. ამ ანგარიშს ხელს აწერს ქვეკონტრაქტორი ან ბრიგადირი და წარუდგენს კონტრაქტორს.

2.15. საველე ჟურნალისა და ტექნიკური ანგარიშის მომზადება სავალდებულოა. ისინი უნდა გადაეცეს კონტრაქტორს ან მის ნდობით აღჭურვილ პირს.

3. მიწის ნაკვეთების საკადასტრო გეგმებისა და საკადასტრო ინდექსური რუკების მომზადება რეგისტრაციისთვის

3.1. აგეგმვის შედეგები უნდა გამოყენებულ იქნას მიწის ნაკვეთების გეგმებისა და საკადასტრო ინდექსური რუკების ამობეჭდილი ვარიანტების მოსამზადებლად. უნდა გამოყენებულ იქნას მასშტაბი, რომლის საშუალებით გამოტანილი ინფორმაციაც მკაფიოდ იქნება გამოხატული. ყოველი მიწის ნაკვეთის გეგმა უნდა გამოხატავდეს როგორც მინიმუმ ინდივიდუალურ ნაკვეთს და მის მომიჯნავე ნაკვეთს. საკადასტრო ინდექსური რუკა უნდა ასახავდეს ერთი ან მეტი ასაგები ბლოკით წარმოდგენილ ფართობს.

3.2. მიწის ნაკვეთების გეგმები უნდა შეესაბამებოდეს ფორმატს და შეიცავდეს ინფორმაციას როგორც ეს განსაზღვრულია 1999 წლის 24 მარტის ბრძანებაში № 2-20. გარდა ამისა გეგმა უნდა ასახავდეს შემდეგს:

ა) ნათლად წარმოაჩინოს მისათითებელი ნაკვეთი სქელი ხაზებით, ხოლო მომიჯნავე ნაკვეთი და გზები ჩვეულებრივი სიგანის ხაზით.

ბ) აჩვენოს მიწის ნაკვეთის ზომები 0,1მ-ის სიზუსტით, მისათითებელი ნაკვეთის ნომერი და ფართობი და მომიჯნავე ნაკვეთის ნომერი.

გ) აჩვენოს ნაკვეთის საზღვრებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და მუდმივი შენობები, ნაგებობები ან მიწაზე არსებული ნიშნები ნაკვეთის საზღვართან მიმართებაში.

დ) სადაც საჭიროა რაიმე სიმბოლოთი მიეთითოს ნაკვეთის კუთხის აღმნიშვნელი ნიშანის სახეობა.

ე) სადაც შესაძლოა, მიენიშნოს მისათითებელ ნაკვეთთან მისასვლელი ცნობილი და გამოკვეთილი გზების, ბილიკების ან გასასვლელების მდებარეობა.

3.3. საკადასტრო ინდექსურ რუკას უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ა) ყოველი რუკა უნდა შედგებოდეს ნახაზის ორიგინალით, რომელიც შესრულებულია შავი მელნით, კარგი ხარისხის, გამძლე, ტილოსმაგვარ ქსოვილზე.

ბ) იმ შემთხვევაში თუ ერთზე მეტი ფურცელია გამოყენებული აგეგმილი კვარტლის გამოსახატავად, ყოველ ფურცელზე უნდა იყოს ნაჩვენები ამ ფურცლის ნომერი და მთლიანი ფურცლების რაოდენობა. აგრეთვე მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი შემაერთებელი ხაზები, რათა ნაჩვენები იყოს როგორ უერთდება ეს ფურცლები ერთმანეთს.

გ) ნებისმიერ შემთხვევაში ყოველი რუკის მასშტაბი უნდა იყოს საკამარისი ზომის რათა ყველა საჭირო დეტალი იყოს ნაჩვენები და უნდა შედგეს 1:1000 ან 1:2000 მასშტაბით.

დ) რუკაზე გამოყენებული სიმბოლოების ინდექსი.

ე) ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები ზონის (რაიონის), სექტორი და კვარტლის განმსაზღვრელი ინფორმაცია.

ვ) ყოველ ფურცელზე უნდა იყოს დახაზული გამოკვეთილი ჩრდილოეთის ისარი. ნაგულისხმები იქნება, რომ მიმართულებები ან რუმბები კომპასის საშუალებით მიიღება თუ სხვაგვარი მითითება არ იქნება.

ზ) მიწის ნაკვეთის ყველა საზღვარი და აგრეთვე სხვა აგეგმილი საზღვრები უნდა იყოს ნაჩვენები. მიწის ნაკვეთების მდებარეობა უნდა დატანილ იქნას ადეკვატურად, ჰორიზონტული კოორდინატების შექმნით. ყოველი მიწის ნაკვეთის საზღვრის აღწერაში უნდა შევიდეს ნაკვეთის ნომერი და ზედაპირის ფართობი.

თ) არაზუსტი საზღვრები, როგორიცაა მდინარეები, ნაკადულები და ა.შ. უნდა იყოს ნაჩვენები.

ი) ყველა საზღვარი, გზა და ცნობილი და გამოკვეთილი ბილიკი, სერვიტუტი და ა.შ. უნდა იყოს ნაჩვენები.

კ) აგეგმვით სამუშაოებზე პასუხისმგებელი ამგეგმავის ხელმოწერა და მომზადების თარიღი ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები.

3.4. საკადასტრო ინდექსური რუკის ყველა ასლი, რომელიც წარმოდგენილი იქნება კონტრაქტორისთვის უნდა იყოს ყველანაირად დამოწმებული ზონის რეგისტრატურებში.

4. ნაკვეთის მონაცემები

აგეგვის ინფორმაცია უნდა შეგროვდეს მარტივი, კოორდიანტების გეომეტრიის პროგრამით (მაგ. LAND CAD) და კოორდინატების, ტექსტობრივი და DXF ფაილები უნდა შეიქმნას თითოეული აგეგმილი ბლოკისათვის (ასაგეგმი ბლოკისათვის). ეს ფაილები გამოყენებულ იქნება მიწის ნაკვეთის გეგმების, საკადასტრო ინდექსურ რუქების და სარეგისტრაციო მოწმობების მოსამზადებლად.

4.1. ნაკვეთის იდენტიფიკაციის ინფორმაცია

ნაკვეთები უნდა დაინომროს განუმეორებელი ნომრებით, თანმიმდევრულად, ასაგეგმი ბლოკების მიხედვით. თუკი კვარტალში არსებობს ერთზე მეტი ასაგეგმი ბლოკი ნაკვეთების ღაინომრვა უნდა გაგრძელდეს თანმიმდევრულად ერთი ასაგეგმი ბლოკიდან და შემდგომ ბლოკში. ამ ნომრების მინიჭება და მოწესრიგება უნდა მოხდეს ქვეკონტრაქტორის მიერ რეგისტრატორთან შეთანხმებით. ნაკვეთის განუმეორებელი იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად საჭიროა ზონის, სექტორის, კვარტლის და ნაკვეთის ნომრები, როგორ ეს ქვემოთ არის მოცემული:

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის ნომერი
ზზ	სს	კკ	999	ზზსსკკ999
09	14	34	999	091434999 მაგალითად

გრაფიკული სიმბოლოები გამოიყენება საველე ჩანაწერებში ნიშნის ან წერტილის სახეობის აღსანიშნად ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად; ნაკვეთის კუთხეები თანმიმდევრულად იქნება დანომრილი რათა იოლი იყოს მათი საველე ჩანაწერებში მოძებნა და ოფისში ინფორმაციის შედგენის პროცესის ხელშეწყობაც უზრუნველჰყოს.

ნიშნის სახეობა	კოდი	შიმბოლო
საყრდენი წერტილი	სწ	∇
ხის ოთხკუთხედი ნიშანი	ხრნ	□
ხის მრგვალი ნიშანი	ხმნ	○
ხის ღობის ბოძი	ხღბ	◙
მეტალის ღობის ბოძი	მღბ	⊕
მეტალის ნიშანი	მნ	⊠
არანაირი ნიშანი	ანნ	┐
ქვის ნიშანი	ქნ	▲
ცემენტის ნიშანი	ცნ	◎

4.2. მიწის ნაკვეთის საზღვრების ინფორმაცია

ნაკვეთის საზღვრები აღინიშნება სახობის მიხედვით საველე ჩანაწერებში. ამისათვის გამოყენებული იქნება ქვემოთ მოცემული კოდირების სქემა, რათა გეგმების და რუკების ჩაწერა და იდენტიპიცირება იოლი გახდეს.

ხაზის სახეობის განსაზღვრა	ხაზის კოდი
პოლიგონომეტრიული სვლის ხაზები	სხ
ხის ღობე	ხღ
მეტალის ღობე	მღ
ნარგავების საზღვარი	ნს
მცენარეულ ცვლილებათა ზღვარი	მცზ
ხეების ხაზი	ხხ
თხრილის ხაზი	თხ
ქვის ღობე	ქღ

4.3. ციფრობრივი ფაილების შექმნა

DXF და მასზე დართული ASCII ტექსტური და კოორდინატების ფაილები, რომლებიც შეიქმნა LANDCAD-ის საშუალებით, უნდა დაინომროს ზონის, სექტორის, კვარტლის და ასაგეგმი ბლოკის ნომრების მიხედვით, (მაგ. 010203-1 .X) რაც ხელს შეუწყობს ფაილებით უკეთესად ხელმძღვანელობას.

114

5. აგეგმვის, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმების, საკადასტრო ინდექსური რუკების წარსადგენი შედეგები

ქვემოთ მოყვანილია წარსადგენი შედეგების ჩამონათვალი:

Tbilissi, 2/18/00
995/32/25 15 27
995/32/25 15 28

განცხადება

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) მიერ დაფინანსებული პროექტი – „კადასტრი და მიწის მენეჯმენტი“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური პერსონალის შესარჩევად და მოსამზადებლად, რომლებიც სწავლებას გაივლიან თელავის, გორისა და ქუთაისის სასწავლო ცენტრებში.

სწავლება ჩატარდება შემდეგ სფეროებში/საგნებში:

- კადასტრო აზომვები
- მფლობელთა დადგენა
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზები/გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (გის)
- საველე ჯგუფების მენეჯმენტი/მართვა

განცხადებების შემოტანის ბოლო ვადა: თელავში სწავლებისათვის მიმდინარე წლის 3 აპრილი, გორსა და ქუთაისში სწავლებისათვის – 7 აპრილი.

“რეგისტრაციაზე/გამოცდებზე დაშვებული კანდიდატების სია გამოცხადდება თელავში – 13 აპრილს, გორში – 20 აპრილს, ქუთაისში – 27 აპრილს.

სასწავლო კურსებზე დაშვებულ/ჩარიცხულ კანდიდატებს სწავლების პერიოდში დაენიშნებათ სტიპენდია.

დაბეჭდილი განცხადებები უნდა ჩაბარდეს: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის გამ. 15ა (მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობა, III სართული, KFW პროექტის ოთახი), ტელ: 251527, 251528, ან თელავისა და გორის მიწის მართვის რაიონულ სამმართველოებში და ქუთაისის მიწის მართვის საქალაქო სამმართველოში.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ თბილისში მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში მითითებულ მისამართსა და ტელეფონებზე.

პროექტის ადმინისტრაცია.

„საქართველოს სასკოლო“ 23 მარტი, 2000 №=48 (3479)

846

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irina Chkhaidze
Newspaper: "*Kviris Palitra*"
Date: March 20-26, 2000
Author: Natia Gogsadze

Why the President was Given a Detrimental Agreement Prior to His Visit to Germany?!

In Georgia there are already few examples of submitting unprepared agreements to the Parliament for ratification. For the most part the President is deluded and he signs documents that might be detrimental for the country.

Tomorrow the Parliament is receiving an agreement between German and Georgian governments for ratification. The agreement envisages implementation of land registration system in Georgia. The value of the project is DM 52.2 million. Out of this amount DM 30 million is provided to our country as a loan. Some specialists consider this project as non-beneficial for the country, especially since in addition to all the above-mentioned, in order to implement the project, Georgia has to allot DM 18 million out of its central budget. In addition, 73% percent of the credit must be spent outside Georgia.

German project envisages total survey of land parcels in Georgia, creation of high accuracy maps and establishment of unified registration system. According to the project high level, computerized offices will be created in all regions of Georgia. However, many parts of the project were unacceptable for Georgian side. Some of the opponents think that the project is too expensive (DM 52 million), also, 73% of this amount will be spent outside Georgia (meaning delivery of technologies). As we have found foreign head of the project will receive DM 2, 016, 000 or 7.2% of the German credit, foreign land-arranger – DM 1.8 million or 6% of the credit, in addition foreign short term specialist will receive DM 640,000 or 2.13% of the credit and international consultants – 480,000 or 1.6% of the credit. Thus, foreign experts will receive approximately 17% of the credit. The privileges of the credit do not make sense if we consider the above-mentioned figures.

In the opinion of experts such project is a very expensive luxury for Georgia. Besides, German project contradicts with the project implemented by the USAID. This project envisages transferring land into private ownership to peasants. 300,000 certificates have already been issued within the scope of this project. The President and the Chair of the Parliament personally issued certificates to peasants. Vano Merabishvili, member of the Agrarian Committee, thinks that these certificates may become invalid if German project is implemented "Owner will have to receive new, updated certificate in order to conduct any transaction."

Levan Gachechiladze chair of the Economic Policy Committee at the Parliament is also against the ratification of the agreement. In his opinion, Georgia can not accept such an expensive project at this stage, especially since there are other alternative

projects. "I think we did not study this draft of the agreement fundamentally. We must think about results of our decision."

According to opinion of some parliamentarians, the Ministry of External Trade and Economic together with SDLM are lobbying this project. In fact, it seems that unexplored project was given to the President in November of the past year. And now Georgian government is interested in ratifying of the document by the Parliament by March 30th, prior to the visit of German Chancellor, Gerhard, Schreuder. "It is good that we are coinciding such visits with ratification of such agreements, but supporting of this agreement only for that reason is impossible. I am categorical opponent for simple reason that we can choose simpler and cheaper system, besides, as a present. USAID is actually implementing the land cadastre as a present. Our main goal is the land market establishment. Obtaining of ownership rights on land by a farmer, ability to sale, purchase, hypothec as a result of this, etc. – this is the task of the project. If our task is fulfilled, then why is the alternative project, which will be provided as a loan, necessary", states the Deputy Chairman of the Financial-Budgetary Committee of the Parliament, Koba Davitashvili.

The Chairman of the Agrarian Committee of the Parliament, Dato Kirvalidze attempts to invalidate arguments of the opponents in the following way: "Without cadastre we will not have complete knowledge about the main resource of a country, land. If in USAID project would be envisaged scrupulous description of urban and non-agricultural land, we would not consider this project any more. Besides, TRASECA, Oil Pipe projects and Heads of Security Agencies as well, need the land cadastre", states the parliamentarian.

However, in this case question arises naturally why should the interests of the Security Agencies, Oil Pipe and TRASECA projects be financed by the land fees. Then the global project must be founded that will be financed by different international organizations. As to justification of German project by the fact that it envisages description of all kinds of land parcels, it is possible that USAID will finance this kind of works too.

Georgian party requires making of notes to the project proposed by Germans. Currently, negotiation is being conducted to set the control on credit spending. Supervisory function must be assigned to the special council staffed by both Georgian and German specialists.

If the Parliament will ratify German project on Tuesday's session, USAID will stop its activity in Georgia from October 1st, which means than these 300 thousand certificates will be invalid and 3 million farmers waiting for certificates will be disappointed and deceived.

If not somebody's private interests, it is unclear why should Georgia (that has already lots of long-term credits) prefer German loan to American present. Even though the credit must be paid off after 10 years, we will have to pay the interest already tomorrow or day after tomorrow, which will be a burden for the country with such short budget.

According to "backstage" information, it became known that this project will be approved on the session of the Parliament. The visit of German Chancellor supporting the election campaign of the President Shevardnadze gives us the ground for that as well. We got into this situation, because sufficient research and analyses of projects do not occur even on the governmental level. Though, the trail leads us to corrupted officials again.

რაზომ შეაჩერებს წაგებიანი ხელშეკრულება პრეზიდენტს გერმანიაში ვიზიტის წინ?!



საქართველოში უკვე არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ შედის პარლამენტში მოუმზადებელი ხელშეკრულებები სარატიფიკაციოდ. ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ და ისეთ დოკუმენტებზე აწერინებენ ხელს, რომელიც ქვეყნისთვის წამგებიანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

ხვალ პარლამენტში სარატიფიკაციოდ შემოდის გერმანიასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მიწის სარეგისტრაციო სისტემის დანერგვას. პროექტის ღირებულება 52,2 მლნ გერმანული მარკაა. აქედან 30 მლნ მარკა ჩვენს ქვეყანას სესხის სახით ეძლევა. ზოგიერთი სპეციალისტი ამ პროექტს საქართველოსთვის არახელსაყრელად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ამ ყველაფრის გარდა საქართველომ 18 მლნ გერმანული მარკა ბიუჯეტიდან უნდა გაიღოს პროექტის განსახორციელებლად. ამას ისიც ემატება, რომ კრედიტის 73% საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა დაიხარჯოს.

გერმანული პროექტი ითვალისწინებს საქართველოში არსებული მიწის ნაკვეთების სრულ აღწერას, უმაღლესი სიზუსტის მქონე რუკების შედგენასა და ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბებას. პროექტის თანახმად, საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნება მაღალი დონის კომპიუტერიზებული ოფისები. თუმცა, გერმანულ პროექტში ბევრი რამ აღმოჩნდა ქართული მხარისათვის მიუღებელი. ოპონენტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროექტი ძალიან ძვირია (52 მლნ მარკა), თანაც ამ თანხის 73% საქართველოს გარეთ დაიხარჯება (იგულისხმება ტექნოლოგიების შემოტანა). როგორც შევიტყვეთ, პროექტის უცხოელი ხელმძღვანელი ანაზღაურების სახით მიიღებს 2 მლნ 16 ათას მარკას, ანუ გერმანული კრედიტის 7,2%-ს, უცხოელი მიწათმომზეობი — 1,8 მლნ-ს ანუ კრედიტის 6%-ს, გარდა ამისა, უცხოელი მოკლევადიანი სპეციალისტი — 640 ათასს ანუ კრედიტის 2,13%-ს, საერთაშორისო კონსულტანტები 480 ათასს, ანუ კრედიტის 1,6%-ს. გამოდის, რომ უცხოელი ექსპერტები კრედიტიდან დაახლოებით 17%-ს მიიღებენ. ამ ციფრების ფონზე კრედიტის შეღავათიანობა აზრს კარ[illegible]

ექსპ[illegible] აზრით, ასეთი პროექტი საქართველოსთვის ძვირადღირებული ფუფუნებაა. გარდა ამისა, „გერმანული პროექტი წინააღმდეგობაში მოდის ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-მიერ განხორციელებულ პროექტთან, რომელიც გლეხებისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. ამ პროექტის ფარგლებში უკვე 300 ათასი სერტიფიკატი გაიცა. მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გლეხებს პირადად პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ გადასცეს. აგრარული კომიტეტის წევრის ვანო მერაბიშვილის აზრით, შესაძლოა, ახალი პროექტის ამოქმედების შემთხვევაში ამ სერტიფიკატებმა ძალა დაკარგოს. „მესაკუთრეს, ნებისმიერი გარიგების განსახორციელებლად, მოუწევს ახალი სერტიფიკატის აღება განახლებული მონაცემებით“.

ხელშეკრულების რატიფიცირებას ეწინააღმდეგება პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძეც. მას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს არ შეუძლია ასეთი ძვირადღირებული პროექტის მიღება, მით უმეტეს, რომ ალტერნატიული პროექტებიც არსებობს. „ჩემი აზრით, ხელშეკრულების ეს პროექტი ჩვენ საფუძვლიანად შესწავლილი არ გვაქვს. უნდა დავფიქრდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას“.

ზოგიერთი პარლამენტარის აზრით, ამ პროექტს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტრო მიწ[illegible] [illegible]ეპარტამენტთან ერთად უწევს ლ[illegible] [illegible]ობრივად გამოდის, რომ შეუსწავლელი პროექტი პრეზიდენტს გასული წლის ნოემბერში შეაჩეჩეს. ახლა კი, საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია პარლამენტმა დოკუმენტის რატიფიცირება 30 მარტამდე მოასწროს, ვიდრე საქართველოში გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ჩამოვა. „კარგია, რომ ასეთი ვიზიტებს ვამთვალვეთ ამგვარი ხელშეკრულებების რატიფიცირებას, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზის გამო ამ ხელშეკრულების მხარდაჭერა შეუძლებელია. მე ამ პროექტის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ უფრო მარტივი და იაფი სისტემა, თანაც საჩუქრად. USAID-ი ფაქტობრივად საჩუქრად გვიკეთებს მიწის კადასტრს. ჩვენი მთავარი მიზანია მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. ის, რომ გლეხს ჰქონდეს მიწაზე საკუთრების უფლება, რის შედეგადაც იგი შეძლებს ყიდვა-გაყიდვას, გირავნობას და ა.შ. ეს გახლავთ ამ პროექტის ამოცანა. თუკი ჩვენი ამოცანა შესრულებულია, მაშინ რაღა საჭიროა ალტერნატიული პროექტი, რომელიც სესხის სახით გვეძლევა“, — აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა დავითაშვილი.

ოპონენტების არგუმენტების გაბათილებას პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე დათო კირვალიძე შემდეგნაირად ცდილობს: „კადასტრის გარეშე ჩვენ სრული წარმოდგენა არ გვექნება ქვეყნის ძირითადი რესურსის, მიწის შესახებ. USAID-ის პროექტში რომ ყოფილიყო ურბანული და არასასოფლო-სამეურნეო მიწების სკრუპულოზური აღწერა, მაშინ ამ პროექტს აღარ განვიხილავდით. გარდა ამისა, მიწის კადასტრი სჭირდება ტრანზიტს, ნავთობსადენის პროექტების და უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელებსაც, აცხადებს პარლამენტარ[illegible]

თუმცა, ამ შემთხვევაში [illegible]

დადება კითხვა, რატომ უნდა დააფინანსოს უშიშროების, ნავთობსადენის და ტრანზიტის ინტერესები მიწის მოსაკრებელმა. მაშინ უნდა შედგეს გლობალური პროექტი, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია დააფინანსებს, რაც შეეხება გერმანული პროექტის გამართლებას იმით, რომ ის ყველა სახის მიწის ნაკვეთების აღწერას ითვალისწინებს, გამორიცხული არც ის გახლავთ, რომ USAID-მა ასეთი სახის სამუშაოებიც დააფინანსოს.

ქართული მხარე გერმანელთა მიერ შემოთავაზებულ პროექტში შენიშვნების შეტანას მოითხოვს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ კონტროლი დაწესდეს კრედიტის ხარჯვაზე. ზედამხედველობის ფუნქცია უნდა დაეკისროს სპეციალურ საბჭოს, რომელსაც ქართველი და გერმანელი სპეციალისტები ერთობლივად დააკომპლექტებენ.

თუკი პარლამენტი სამშაბათის სხდომაზე გერმანულ პროექტს გაუკეთებს რატიფიცირებას, მაშინ USAID-ი 1 ოქტომბრიდან შეწყვეტს საქართველოში თავის მოღვაწეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის 300 ათასი სერტიფიკატი ძალადაკარგული, ხოლო სერტიფიკატის მომლოდინე 3 მილიონი გლეხი იმედგაცრუებული და მოტყუებული დარჩება.

თუ არა მავანთა კერძო ინტერესი, გაურკვეველია, რატომ უნდა ამჯობინოს საქართველომ (რომელსაც უკვე უამრავი გრძელვადიანი კრედიტი აქვს აღებული) გერმანული სესხი, ამერიკულ საჩუქარს. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტი 10 წლის შემდეგ უნდა დაიფაროს, პროცენტის გადახდა ხვალ-ზეგ უკვე მოგვინევს, რაც ჩვენისთანა მცირებიუჯეტიანი ქვეყნისათვის მძიმე ტვირთი იქნება.

კულუარული ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ ეს პროექტი პარლამენტის სესიაზე დამტკიცდება. ამის საფუძველს გერმანიის კანცლერის პრეზიდენტ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის მხარდამჭერი ვიზიტიც გვაძლევს. ასეთ სიტუაციაში კი იმიტომ აღმოვჩნდით, რომ ხშირად საფუძვლიანი პროექტების შესწავლა და ანალიზი თვით სამთავრობო დონეზეც კი არ გვხვდება. არადა, კვალი ისევ კორუმპირებულ ჩინოვნიკებამდე მიდის.

ნათია გოგსა[illegible]

BEST AVAILABLE COPY

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irakli Songulia
Newspaper: "*Rezonansi*"
Date: March 23, 2000
Author: Mariana Imnadze

Translator's note: The article contains grammatical errors.

Parliament Has To Meet German Credit Soon

Soon, the Parliament of Georgia will discuss the agreement signed between Germany and Georgia and the issue of its ratification. The agreement concerns implementation of land cadastre and registration system. Currently, a part of the project (annex) is being prepared, which envisions the summarization of significant issues.

The agreement signed between Germany and Georgia was a subject for disputes of the Parliament's committees and subcommittees. Presently, final correctives of the land cadastre and registration system project are being collaborated, which have to determine all the issues.

According to the words of a member of the Parliament, Zurab Noghaideli, the budget was changed (project of land cadastre and registration system implementation envisions 52 million DM, from which 30 million DM are allocated by the German Reconstruction Credit Bank to Georgia as a privileged credit.) Particularly, a part of the grant increased and a part of salaries was specified.

It should be mentioned that a specific part of the project had to be financed by the government of Georgia. However, it seems that all the projects implemented until today that concerned land cadastre (program of UN development, the World Bank and the United States Agency for International Development), count as co-financing of Georgia.

Works implemented before have a principal moment. It is necessary to keep the program of the USAID valid. Moreover, the land markets development program must continue and develop.

The project of the United States Agency for International Development implemented works in 20 rayons of the country and the European Union implemented works in Kareli and Khashuri. Ownership certificates were distributed to peasants free of charge.

"There is no way that I can welcome the suspension of the program financed by the USAID, which is more important," - said Noghaideli.

According to his words, it is the most important to establish a land market in Georgia.

"Neither cadastre nor any other thing is important for me. It is important to have a normal land market functioning in Georgia, to start resale, process of enlargement of land parcels, to establish farms and agrarian production.
Conduction of cadastre is important, when a country has its own agrarian production," - noted Noghaideli.

As for another important issue of the annex, a peasant does not have to pay a tetri after the implementation of the project.

მალე გერმანულ კრედიტთან შეხვედრა ელის

მარიანა იმნაძე



საქართველოს პარლამენტი უახლოეს პერიოდში გერმანიასა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას და მისი რატიფიკაციის საკითხს განიხილავს. ხელშეკრულება მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის დანერგვას ეხება. ამჟამად პროექტის ნაწილი (დათქმის ტექსტი) მზადდება, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი საკითხების შეჯერებას.

საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება პარლამენტის კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებში საკმაოდ ხანგრძლივი კამათის საგანი იყო. ამჯერად მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის პროექტის საბოლოო კორექტივები მუშავდება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ყველა საკითხი.

პარლამენტარ ზურაბ ნოღაიდელის თქმით, შეიცვალა ბიუჯეტი (მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის დანერგვის პროექტი 52 მლნ მარკას ითვალისწინებს. აქედან, 30 მლნ მარკას გერმანიის რეკონტრუქციის საკრედიტო ბანკი საქართველოს შეღავათიანი კრედიტის სახით გამოყოფს). კერძოდ, გაიზარდა გრანტის ნაწილი, ხოლო ხელფასების ნაწილი დაზუსტდა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის გარკვეული ნაწილი საქართველოს მთავრობას უნდა დაეფინანსებინა. თუმცა, როგორც ირკვევა, დღემდე განხორციელებული ყველა პროექტი, რომელიც მიწის კადასტრს ეხებოდა (გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო), საქართველოს თანადაფინანსებაში ეთვლება.

პრინციპული მომენტია ადრე ჩატარებული სამუშაოები. განსაკუთრებით აუცილებელია „იუ-ეს-აი-დის“ პროგრამა. ძალაში დარჩეს, უფრო მეტიც „მიწის ბაზრის განვითარების პროგრამა“ გაგრძელდეს და განვითავრდეს.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტმა ქვეყნის 20 რაიონში, ევროკავშირმა ქარელისა და ხაშურის რაიონებში საკადასტრო სამუშაოები ჩაატარა. გლეხებს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა უფასოდ დაურიგდა.

„ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივესალმები იმას, რომ ამ პროექტის გამო „იუ-ეს-აი-დის“ მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც უფრო ბევრად მნიშვნელოვანია, გაჩერდეს“, – დასძინა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოში მიწის ბაზრის ჩამოყალიბება.

„ჩემთვის არც კადასტრია მნიშვნელოვანი და არც სხვა რამ. მთავარია, საქართველოში ნორმალური მიწის ბაზარი ფუნქციობდეს, დაიწყოს ყიდვა-გაყიდვა, მიწის ნაკვეთების გამსხვილების პროცესი, ჩამოყალიბდეს ფერმერული მეურნეობები და აგრარული წარმოება.

კადასტრის ჩატარება მას შემდეგაა მნიშვნელოვანი, როცა ქვეყანას საკუთარი აგრარული წარმოება ექნება“, – აღნიშნა ნოღაიდელმა:

რაც შეეხება დათქმის ტექსტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს ისაა, რომ გლეხს, ამ ახალი პროექტის განხორციელების შემდეგ, არც ერთი თეთრი უნდა დაუჯდეს.

"ხალხის ფსი" 23 მარტი, 2000 №78 (1854)

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irina Chkhaidze
Newspaper: "*7 Dghe*"
Date: March 22-23, 2000
Author: Marina Khasaia

Mamaladze Is Lobbying the Constructing of Terminal by Tsiteli Khidi (Red Bridge)

It has been almost one year since the State Minister, Vazha Lortkipanidze is promising Merab Kostava's Foundation to resolve problem, but as the Chairman of the Foundation, Vazha Adamia is stating, problem is not only unresolved, but also it worsened.

Particularly, illegal appropriation of 250 hectares of agricultural land owned by Kostava's Foundation is implied. This land located on territory contiguous to Tsiteli Khidi was transferred in use to Kostava's Society in 1990 for indefinite term and free of charge. In April 1996 the Parliament adopted the Law on Agricultural Land Lease, which meant reentering into lease agreement. There was nothing stated in the law about land transferred free of charge, but Gamgeoba of Marneuli forced the landowner to reenter into the lease agreement for 10-year term.

It seems that the territory adjacent to the border of Azerbaijan was not left unnoticed by passerby. Somebody intended to benefit from this profitable place and started the construction of terminal. That became a reason for the tension.

Society considers illegal appropriation of its land to be unacceptable; moreover, the gas pipelines are installed in this territory and the construction is totally impermissible from this point of view as well.

The conflict between the parties was so intensified that the President found out about it, and he delegated its resolving to the State Minister. The Minister gives promises one after another, but the results are not noticeable.

Violation of rights of Kostava's Society occurs artificially, believes Vazha Adamia, "if someone thinks that we refused to participate in elections in the period prior to elections, that our society will move attention to Tsiteli Khidi and start the fight there, their wrong. We will begin the actions by the Chancellery, because this is national issue and by loosing of this land we will face the danger in the future. If we will recall Shida Kartli and Abkhazia, our indignation will be easy to explain".

During last two weeks, terminal constructing on the border of Georgia and Azerbaijan is being conducting at high pace. According to Vazha Adamia's statement, "authors" of construction, which do not have any authorization documents, are representatives of influential families in the rayon: a Zurab Lashkhi – cousin of Gamgebeli of Marneuli, Anzor Rekhviashvili – Head of one of the police departments of Lagodekhi rayon and his son in law Kapanadze, one representative of Azerbaijan and one representative of Osetia.

Adamia is stating that terminal constructing is being conducted through lobbying by some governmental circles, Levan Mamaladze, first of all. The government can not turn him down, because Levan has to provide votes from Shida Kartli", states Adamia.

„შეუნებლობას მამალაძე ლობირებს“

მარინა ხასაია

თითქმის ერთი წელია სახელმწიფო მინისტრი, ვაჟა ლორთქიფანიძე მერაბ კოსტავას ფონდს პრობლემის მოგვარებას პპირდება, მაგრამ როგორც ფონდის თავმჯდომარე, ვაჟა ადამია აცხადებს, პრობლემა არა თუ მოგვარდა, უფრო გაღრმავდა:

კონკრეტულად, საუბარია კოსტავას ფონდის კუთვნილი 250 ha სასოფლო-სამეურნეო მიწების უკანონოდ მითვისებაზე. ეს მიწები ნითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე 1990 წელს უვადო და უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა კოსტავას საზოგადოებას. 1996 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარის შესახებ, რაც გულისხმობდა საიჯარო ხელშეკრულების ხელახლა გაფორმებას. კანონში არაფერი იყო ნათქვამი უსასყიდლოდ გადაცემული მიწების შესახებ, მაგრამ მარნეულის გამგეობამ აიძულა მიწის მესაკუთრე ხელახლა, 10 წლის ვადით გაეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება.

აზერბაიჯანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია, როგორც ჩანს, გამვლელ-გამომვლელის დაკვირვებული თვალისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მავანმა და მავანმა ამ სარფიანი ადგილით ხელის მოთბობა განიზრახა და ტერმინალის მშენებლობას შეუდგა. დაძაბულობის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

საზოგადოება დაუშვებლად მიიჩნევს მისი კუთვნილი მიწების უკანონო მითვისებას, მით უმეტეს, რომ ამ ტერიტორიაზე გადის გაზსადენი მილები და ამ თვალსაზრისითაც, მშენებლობა ყოვლად დაუშვებელია.

კონფლიქტი მხარეთა შორის იმდენად გამწვავდა, პრეზიდენტის ყურამდეც მივიდა, პრეზიდენტმა კი მისი მოგვარება სახელმწიფო მინისტრს გადაულოცა. მინისტრი დაპირებებს დაპირებებზე იძლევა, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

კოსტავას საზოგადოების უფლებების ხელყოფა ხელოვნურად ხდება — მიიჩნევს ვაჟა ადამია: „თუ ვინმეს ჰგონია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენ უარი ვთქვით არჩევნებზე, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღებას გადართავს ნითელ ხიდზე და იქ დავიწყებთ ჩხუბს, ცდება. აქციებს კანცელარიასთან დავიწყებთ, რადგან ეს არის ეროვნული საკითხი და ამ მიწების დაკარგვით ხვალზეგ დიდი საშიშროების წინაშე დავდგებით. თუ გავიხსენებთ შიდა ქართლს და აფხაზეთს, ჩვენი შეშფოთებაც ადვილად ასახსნელია“.

ტერმინალის მშენებლობა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ბოლო ორი კვირის განმავლობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ვაჟა ადამიას თქმით, მშენებლობის „ავტორები“, რომელთაც არავითარი საავტორო დოკუმენტაცია არ გააჩნიათ, რაიონში გავლენიანი გვარების ნარმომადგენლები არიან: ვინმე ზურაბ ლაშხი — მარნეულის გამგებლის ბიძაშვილი, ანზორ რეხვიაშვილი — ლაგოდეხის რაიონის ავტოინსპექციის ერთერთი განყოფილების ხელმძღვანელი და მისი სიძე კაპანაძე, ასევე თითო აზერბაიჯანელი და ოსი ეროვნების ნარმომადგენელი.

ადამია აცხადებს, რომ ტერმინალის მშენებლობა მთავრობის გარკვეული წრეების პირველ ყოვლისა ლევან მამალაძის ლობირებით მიმდინარეობს. მთავრობა მას უარს ვერ ეტყვის, რადგან სწორედ ამ ლევანმა უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ხმები შიდა ქართლიდან“ — აცხადებს ადამია.

7 დღე 22-23 მარტი, 2000 №33 (730)

856

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irakli Songulia
Radio Channel I: Pikis Saati "Rush Hour"
Date: March 22, 2000 12:00 p.m.
Author: Zura Makharadze

Translator's note: a Georgian content of the radio material includes misspellings and many grammatical errors.

- Dear radio-listeners, the United States Agency for International Development in Georgia - or the USAID is distinctive with multitude and effective activities. From these many activities that are implemented by the workers of this organization in our country, I would like to talk to you concerning the land markets development project. Our guest is the Director of the Georgian Sector of this Project, Sergo Gudzuadze.

- Despite the fact that the public is informed of our activity, I would like to tell you briefly what we are doing, what is our goal and how we were able to achieve this goal last year. This project works on the development of the land market. Hopefully, you will agree with me that a man in Georgia cannot participate in the market if he does not have the ownership rights. Therefore, establishment of ownership rights to land is one of the main directions for us. Of course, after receipt of ownership rights, it is desirable to have a legalized market. Its legalization, in fact, is carried out through the implementation of the registration system. The project provides assistance in this field to the government of Georgia through sharing international experience. As for the registration system, implementation of initial registration is in the agenda at this stage in Georgia. Specific coordination works, which are implemented by the USAID with its project, its expenses and free of charge, have to be conducted in order to implement this initial registration. We do not have any credits and our children and grandchildren will not have to pay any debts. This is our field of activity, what the project practically implements in rayons. In other words, we are implementing cadastre works in rayons. Last year, these works were conducted in 20 rayons, in accordance with the primarily selected and established plan. This is a long process, the initial registration process, if we will take into consideration that the project works on cadastre work of reformed land and on assistance to the implementation of the initial registration, then this is a never ending process as far as it cannot be said what is the quantity of reformed land. However, we have the information from relevant land management services on the quantity of this land, but it will be difficult for me to say that initial registration of land and cadastre works are completely over. These works are almost finished in rayons of Tsalka and Tetritskaro. Besides the fact that we started to work from Zestaponi, it was difficult for us to complete works there due to the largeness and complexity of the rayon. This year, we are continuing the work in approximately 20 rayons.

— პატიოსანმულო რადიომსმენელებო, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო — ანუ იუსაიდი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობითაა გამორჩეული. იგი უამრავ ლონისძიებათაგან, რომელსაც ამ ორგანიზაციის მუშაკები ჩვენს ქვეყანაში ახორციელებენ, დღის მხოლოდ ერთზე, მიწის ბაზრის განვითარების პროექტზე გვინდა გისაუბროთ. ჩვენი სტუმარია ამ პროექტის საქართველოს სექტორის დირექტორ სერგო გუძუაძე.

/ ლერი /

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება ინფორმირებულია ჩვენი მუშაობის წესახებ, მოკლედ მოგახსენებთ თუ რას ვაკეთებთ, რა არის ჩვენი მიზანი და ამ მიზნის მიღწევა როგორ შეიძლება გასულ წელს. თავიდან სო ლიდან გამოიმდინარე ის პროექტი მუშაობს მიწის ბაზრის განსავითარებლად. საქართველო დამოუკიდებელ ბაზარზე ისე ვერ მიიღებს მონაწილეობას ადამიანი, თუ კი მას საკუთრების უფლება არ იქნა, ასე რომ საკუთრების უფლების დამკვიდრება მიწაზე ჩვენთვის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. რა თქმა უნდა, საკუთრების უფლების მიღების შემდეგ, სასურველია, რომ ბაზარი იყოს ლიგალიზებული. მისი ლიგალიზება ფაქტობრივად, ხდება რეგისტრაციის სისტემის დანერგვით, სწორედ ამაში იწვევს პროექტი დახმარებას საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. რაც შეეხება რეგისტრაციის სისტემას, ამ ეტაპზე საქართველოში დღის წესრიგში დგას პირველადი რეგისტრაციის განხორციელება, ამ პირველადი რეგისტრაციის განსახორციელებლად არის გარკვეული საკოორდინაციო სამუშაოები ჩასატარებელი, რომელსაც თავისი პროექტით, თავისი ხარჯებით უფასოდ ახორციელებს იუსაიდი. არა გვაქვს არავითარი კრედიტი, რომელიც ჩვენი ვალებისა და შეღებებისა გადასახდელი არ იქნება. სწორედ ის არის ჩვენი სამუშაო სფერო, რასაც პროექტი პრაქტიკულად აკეთებს რაიონებში. ანუ ვასრულებთ საკადასტრო სამუშაოებს რაიონებში. გასულ წელს ეს სამუშაოები წარმართა 20 რაიონში, წინასწარ შერჩეული და დადგენილი გეგმის მიხედვით. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, პირველადი რეგისტრაციის პროცესი, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტი მუშაობს მხოლოდ რეორგანიზებული მიწების საკადასტრო სამუშაოზე და შემდგომ მათ პირველადი რეგისტრაციის განხორციელების სერიოზე

BEST AVAILABLE COPY

დახმარებაში, ის არის დაუსრულებელი პროცესი იმდენად, რამდენადაც არ შეიძლება ითქვას რაიონში რეფორმისეული მიწები რამდენია. თუმცა ჩვენ შესაბამისი მიწის მართვის სამსახურებიდან გვაქვს ინფორმაცია ამ მიწის რაოდენობაში, მაგრამ დღისათვის ვერ თქმა რომ ამ რაიონში პირველადი მიწის რეგისტრაცია და საკადასტრო სამუშაოები სრულიად დამთავრებულია, ამის თქმა გამიჭირდება. ეს სამუშაოები თითქმის დამთავრებულია წალენჯიხის და თეთრიწყაროს რაიონებში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ადრე საქმიანობა ზისტემაში დავიწყეთ, აქ გაგვიძნელდა ბოლომდე მივსულიყავით, რაიონის სიდიდისა და სირთულის გამო. წლიულს კიდევ დაახლოებით 20 რაიონში ვაგრძელებთ მუშაობას.

ზ. მახარაძე

გადაეცა "ერეკლ სალაში" 22 მარტს
2000 წელს
12 00 სთ-ზე

BEST AVAILABLE COPY

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irakli Songulia
Newspaper: "*Rezonansi*"
Date: March 20, 2000
Author: Lali Galumashvili

A Real Estate Association Was Established In Georgia

Foreigners became interested in the immovable property of Georgia as well. Privatization of immovable property proceeds for 7-8 years already, which gave the basis to a competitive market. Therefore, the real estate association was established in the country.

It is already two months since the non-governmental organization - real estate association of Georgia was founded with the assistance of the USAID experts. Approximately 100 brokers and 30 agencies are united there. Currently, it became a member of the worldwide federation. Presentation of the real estate association of Georgia will be carried out in London in May - June.

A real estate market is now being established, therefore, a role of the agencies is still low, according to the statement of the President of the real estate association of Georgia, Guram Palavandishvili. It should be noted that this profession (brokerage) was prohibited in the Soviet times. Today, realization and popularization of this activity is implemented.

Auditing firms are responsible for land evaluation today, according to the words of Palavandishvili. Real estate agencies are carrying out this evaluation abroad. Any bank has its own real estate agency chosen to evaluate immovable property.

It should also be noted that even state bodies are forced to rely on real estate agencies during the real evaluation of their own property. The association demands prepared evaluation of agencies to be given the right for an official document, according to Palavandishvili's statement.

In addition, an evaluation commission must be created, which will be able to prepare chart for medium prices.

Charts will enable every buyer and seller to have information. As for banks, they can determine the price of the property more specifically in the course of issuing loan.

Evaluation of immovable property is implemented in three basic methods: inventorying, comparative analysis and capitalization. No other method is functioning besides inventorying in Georgia. There is vacuum in evaluation of immovable property, agencies evaluate immovable property and land parcels for banks and foreigners, but none of the agencies accept a document issued by these real estate agencies, according to the President of the association.

"As soon as this sphere is provided with legislation and assistance to a land market development is implemented, the price will be established on a real evaluator and a market will be developed" - noted Palavandishvili.

საქართველოში უძრავი ქონების ასოციაცია ჩამოყალიბდა

ლალი გალუბაშვილი

საქართველოს უძრავი ქონებით უცხოელებიც დაინტერესდნენ. უძრავი ქონების პრივატიზება უკვე 7-8 წელია მიმდინარეობს, რამაც საფუძველი ჩაუყარა კონკურენტუნარიან ბაზარს. ამიტომ, ქვეყანაში უძრავი ქონების ასოციაცია დაფუძნდა.

„იუესაიდის" ექსპერტთა დახმარებით უკვე ორი თვეა, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს უძრავი ქონების ასოციაციაა ჩამოყალიბდა. მასში 100-მდე ბროკერი და 30-მდე სააგენტო გაერთიანებულია. ამჟამად იგი მსოფლიო ფედერაციაში გაწევრიანდა. მაის-ივნისში კი ლონდონში დაგეგმილია საქართველოს უძრავი ქონების ასოციაციის პრეზენტაცია.



საქართველოს უძრავი ქონების ასოციაციის პრეზიდენტის გურამ ფალავანდიშვილის განცხადებით, უძრავი ქონების ბაზარი ახლა ყალიბდება, ამიტომ სააგენტოების როლი ჯერ კიდევ დაბალია. აღსანიშნავია, რომ ეს პროფესია (მაკლერობა) საბჭოურ პერიოდში აკრძალული იყო. დღეს კი ამ საქმიანობის რეაბილიტაცია და პოპულარიზაცია ხდება.

ფალავანდიშვილის თქმით, დღეისათვის მიწის შეფასება აუდიტორულ ფირმებს ევალება. უცხოეთში ამ შეფასებას უძრავი ქონების სააგენტოები ახდენენ. ნებისმიერ ბანკს სწორედ უძრავი ქონების სააგენტოები ჰყავს შერჩეული მათი უძრავი ქონების მთავარ შემფასებლად.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თვით სახელმწიფო ორგანოები საკუთარი ქონების რეალური შეფასებისას იძულებული არიან უძრავი ქონების სააგენტოებს დაეყრდნონ. ფალავანდიშვილისგანცხადებით, ასოციაცია მოითხოვს სააგენტოების მომზადებულ შეფასებას მიეცეს ოფიციალური დოკუმენტის უფლება.

ამასთან, შეიქმნას შემფასებელი კომისია, რომელსაც საშუალება ექნება მოამზადოს საშუალო ფასების ცხრილი.

ცხრილები კი საშუალებას მისცემს ყველა მყიდველსა და გამყიდველს ჰქონდეს ინფორმაცია. რაც შეეხება ბანკებს, მათ შეეძლებათ ქონების ფასის უფრო ზუსტად განსაზღვრა სესხის გაცემისას.

უძრავი ქონების შეფასება სამი ძირითადი მეთოდით ხდება: ინვენტარიზაცია, შედარებითი ანალიზი და კაპიტალიზაცია. საქართველოს ინვენტარიზაციის გარდა სხვა მეთოდი არ ფუნქციობს. ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, უძრავი ქონების შეფასებაში ვაკუუმია, სააგენტოები აფასებენ ბანკებისათვის თუ უცხოელებისათვის მათ უძრავ ქონებას და მიწის ნაკვეთებს, მაგრამ მათ მიერ გაცემული დოკუმენტს არ იღებს არც ერთი უწყება.

„რაც მალე მოხდება ამ სფეროში საკანონმდებლო უზრუნველყოფა და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, მით მალე რეალურ შემფასებელს დაედება ფასი და ბაზარი განვითარდება" – აღნიშნა ფალავანდიშვილმა.

BEST AVAILABLE COPY

862

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irakli Songulia
Newspaper: "*Alia*"
Date: March 21-22, 2000
Author: Mari Tsikelashvili

Is Our Government Obtaining 30-Million Doubtful Credit?

The authorities prepared another surprise to the Parliament. The government will submit a new credit from Germany for ratification at the Wednesday session. Amount of this credit is 30 million Deutsche Marks. There is no official conclusion, which would explain the requirement of this credit. On the contrary, there are active talks in the Parliament that the obtainment of new credit will not do any good to Georgia except damage.

German money must be spent on the creation of land cadastre and new system of registration. However, the USAID already implements a program, according to which, peasants receive land certificates free of charge. On the parallel to the credit obtainment, already distributed certificates will be annulled and implementation of these works will also be over. Nevertheless, these works are financed from the grant not from the amounts obtained from loans and the same work is done that must be done by German loan.

The government started to talk about the ratification of German loan a month ago and it was sent to the Parliament. From the Parliament it immediately returned back to the government. Currently, the government found already probed method. Today, the Chancellor of Germany - Gerhard Schroider arrives in Georgia, who will be met with documents confirming obtainment of loan.

The name of the Chancellor of Germany is not mentioned by chance. Terms of credit obtainment were agreed with the German government last year. And now the authorities' tale is burning.

A greatest flaw of the German credit is the distribution of amounts. As it is known, 22 million Deutsche Marks are directed to foreign experts and the equipment that has to be obtained from abroad. In a word, Georgia will obtain credit by which it will finance foreigners. Whether the Parliament compromises to the government or not will become clear on Wednesday. This time, members of the Parliament cannot say that they did not know anything about good and bad sides of the credit.

...ეროვნულ ...ებს?

მარი ციყელაშვილი

ხელისუფლებამ პარლამენტს მორიგი სიურპრიზი მოუმზადა. ოთხშაბათის სხდომაზე ხელისუფლება რატიფიცირებისთვის წარადგენს გერმანიისგან ასაღებ ახალ კრედიტს, რომლის მოცულობა 30 მილიონ მარკას შეადგენს. არ არსებობს ოფიციალური დასკვნა, რომელიც ამ კრედიტის აუცილებლობას ახსნიდა. პირიქით, პარლამენტში აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ახალი კრედიტის აღება საქართველოს ზარალის გარდა არაფერს მოუტანს.

გერმანული ფული მიწის კადასტრის და რეგისტრაციის ახალი სისტემის შექმნაში უნდა დაიხარჯოს. თუმცა, „უსაიდ"-ი უკვე ანხორციელებს პროგრამას, რომლის მიხედვითაც გლეხებს მიწის სერტიფიკატი უსასყიდლოდ გადაეცემათ. კრედიტის შემოსვლის პარალელურად უკვე გაცემული სერტიფიკატები გაუქმდება და ამ სამუშაოების ჩატარებასაც ბოლო მოეღება. არადა, ეს სამუშაოები გრანტით და არა სესხად აღებული თანხებით ფინანსდება და იგივე საქმეს აკეთებს, რაც გერმანული სესხით უნდა გაკეთდეს.

გერმანული სესხის რატიფიცირებაზე საუბარი მთავრობამ ერთი თვის წინ დაიწყო და პარლამენტშიც გადააგზავნა. იქიდან კი სასწრაფოდ უკან დაუბრუნეს. ხელისუფლებამ ამჟამად ნაცადი ხერხი მოიმიზეზა. დღეს საქართველოში ჩამოვა გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი, რომელსაც სესხის მიღების დამადასტურებელი საბუთები უნდა აუფრიალონ.

გერმანიის კანცლერის სახელი შემთხვევით არ სახელდება. კრედიტის აღების პირობები გერმანიის მთავრობასთან ჯერ კიდევ შარშან შეთანხმდა. ახლა კი ხელისუფლებას კუდი ენვის.

გერმანული კრედიტის უდიდესი ნაკლი თანხების განანილებაა. როგორც ცნობილია, 22 მილიონი მარკა უცხოელი ექსპერტებისა და საზღვარგარეთიდან შემოსატანი ხელსაწყოებისთვისაა გამიზნული. ერთი სიტყვით, საქართველო აიღებს კრედიტს, რომლითაც უცხოელებს დააფინანსებს. დაუთმობს თუ არა პარლამენტი მთავრობას კიდევ ერთხელ, ოთხშაბათს გამოჩნდება. პარლამენტარები ამჟამად ნამდვილად ველარ იტყვიან, რომ ამ კრედიტის ავკარგიანობაზე არაფერი იცოდნენ.

№45 (844)

"ერა" 21-22 მარტი, 2000

864

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irakli Songulia
Newspaper: "*Eko Daijesti*"
Date: March 17-19, 2000
Author: Lela Gvichia

52,6 Millions From 108,4 Million Dollars Of the Government of The U.S.A. Belong To The USAID

The government of the United States of America will assist Georgia with 108 million and 400 thousand dollars in the year 2000. A Consulting Council of Foreign Investments, existing at the office of the President of Georgia, expressed greatest gratitude towards the government of the United States of America. "There is no sphere in Georgia, in fact, which has not received assistance from the United States of America," according to the statement of Temur Basilia, Secretary of the Council, Assistant of the President in the issues of economic reforms.

From 108 million and 400 thousand dollars, 52 million and 600 thousand dollars come to the part of the United States Agency for International Development (USAID). Four prioritized directions will be financed with 25 million and 950 thousand dollars. These are: anti-corruption, growth of budget incomes, administrational reform, improvement of budget processes and control over the state outflow. Specific projects were emphasized towards these directions, for the perfection of which Georgian-American teams are actively working. "Addressee" projects (of all four directions) of the USAID assistance are bonded to each other and their main goal is the economic revival of the country, according to experts. New projects are sort of logical continuation of those five large-scale projects, which are financed by the USAID in Georgia since 1997. Normalization of fiscal situation, fight against corruption, award of ownership rights to agricultural land, privatization, assistance to small and medium enterprises - these are main directions of the "American activity" that started three years ago. As a result of certain movements and changes, the aforementioned five programs united into four programs.

Advisor of the President in the issues of economic reforms, Temur Basilia, specifically emphasizes the USAID land reform supporting program. Issuance of ownership certificates to agricultural land possessors (free of charge) began in May 1999. Currently, Georgia has 300 thousands of real owners and 700 thousands of more owners will be added to their number this year. The above-mentioned USAID project significantly supported the establishment of a real land market in Georgia, which is considered to be a firm foundation of the economic revival of the country.

According to the statement of Temur Basilia, "assistance of the United States of America to Georgia is significant not only because of supporting economic reforms, but also for establishment and perfection of democratic system and other various directions." The role of the government of the United States of America is also important by means of assistance and support to non-governmental organizations and free mass media.

17-19 მარტი, 2000 №96

ეკონომიკა

აშშ-ის მთავრობის 108,4 მილიო
დოლარიდან 52,6 USAID-ისაა

ლელა გვიჩია

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს 2000 წელს კიდევ 108 მილიონ 400 ათასი დოლარით დაეხმარება. საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭომ აშშ-ის მთავრობის მიმართ უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოხატა. საბჭოს მდივნის, პრეზიდენტის თანაშემწის ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიას განცხადებით, „საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს სფერო, აშშ-ის დახმარება რომ არ შეხებოდეს".

108 მილიონ 400 ათასი დოლარიდან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სათვალავზე 52 მილიონ 600 ათასი დოლარი მოდის. სააგენტოს გადაწყვეტილებისამებრ, 25 მილიონ 950 ათასი დოლარით ოთხი პრიორიტეტული მიმართულება დაფინანსდება. ესენია: ანტიკორუფციული, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ადმინისტრაციული რეფორმა, საბიუჯეტო პროცესების გაუმჯობესება და კონტროლი სახელმწიფო გასავლებზე. ამ მიმართულებათა ფარგლებში გამოიკვეთა კონკრეტული პროექტები, რომელთა დასასვენად ექსპერტთა ქართულ-ამერიკული ჯგუფები აქტიურად მუშაობენ. ექსპერტთა აზრით, USAID-ის დახმარების „ადრესატი" (ოთხივე მიმართულების) პროექტები ურთიერთგადაჯაჭვულია და მათ საერთო მიზანს სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობა წარმოადგენს. ახალი პროექტები ერთგვარი ლოგიკური გაგრძელებაა იმ ხუთი მასშტაბური პროექტისა, რომლებსაც USAID საქართველოში 1997 წლიდან აფინანსებს. ფისკალური ვითარების ნორმალიზება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლების მინიჭება, პრივატიზაცია, მცირე და საშუალო წარმოებათა ხელშეწყობა – ასეთია სამი წლის წინათ დაწყებული „ამერიკული საქმიანობის" ძირითადი მიმართულებები. გარკვეული გადაჯგუფებისა და ცვლილებების შედეგად, ხსენებული ხუთი პროგრამა ოთხ პროგრამად გაერთიანდა.

პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილია განსაკუთრებით გამოყოფს USAID-ის მიწის რეფორმის ხელშეწყობ პროგრამას. სასოფლო-სამეურნ
ბის მფლობელებისთვის
ბის დამადასტურებელი
კატების (უსასყიდლოდ)
1999 წლის მაისში დაიწ
მად საქართველოს ამ
300 ათასი ნამდვილი
ჰყავს, ხოლო წელს მათ
დევ 700 ათასი შეემატება.
ის აღნიშნულმა პროექტმ
ვნელოვნად შეუწყო ხელ
თველოში მიწის რეალურ
რის ჩამოყალიბებას, რაც
ეკონომიკური აღმავლობ
საყრდენად მიიჩნევა.

თემურ ბასილიას განცხ
„აშშ-ის მიერ საქართველ
დახმარება მნიშვნელოვან
მხოლოდ ეკონომიკური რ
მების ხელშეწყობის მხრივ
მედ დემოკრატიული სისტ
მოყალიბება-დახვეწისა
მრავალი მიმართულებით
დია ამერიკის შეერთებულ
ტების როლი არასამთავრო
განიზაციებისა და თავის
მასმედიის დამხარება-ხელ
ბის მხრივაც.

BEST AVAILABLE COPY

866

To: Bob Cemovich
Cc: Gordon Campbell
From: Irina Chkhaidze
Newspaper: "*7 Dghe*"
Date: March 17-19, 2000
Author: Maia Razmadze, Eka Gabadadze

The Certificates Issued to Farmers in Solemn Surrounding May Be Annulled

As Ambassador of Georgia in Germany, Kote Gabashvili insisted, the project of German Bank for Reconstruction (KWF) on registration of agricultural land parcels will be presented to the parliament for ratification on Saturday. By approving of this project, completing of the works started by USAID will be questioned. Already 300 thousand certificates were issued through USAID program in 1999 free of charge. By 2001 USAID was planning to complete certification, although now, when they talk actively about ratification of the new German project, the works were reduced four times comparing to what was envisaged. German project does not envisage free of charge certification and in case of its ratification the certificates already issued by USAID will become invalid.

The Chairman of the Subcommittee of the Parliament, **Vano Merabishvili**, is opposing the proposed project of KWF most actively. We provide an interview with him:

In relation to the visit of the Chancellor of Germany to Georgia documents on ratification of German credit are compiled in the Parliament. Several state organizations are lobbying this project actively. The Ministry of External Economical Trade and State Department on Land Management stand out among them. Georgian embassy in Germany supports them significantly. They put pressure on the Parliament and accelerate this process, because they are interested in resolving of ratification issue prior to the visit of German Chancellor, for the reason that aforementioned organizations are involved directly in this issue and they want to disgrace themselves. This is understandable, since they are the ones who are responsible for implementation of this project.

In spite of the fact that representatives of KWF make "concessions" so to say and change the project drastically, particularly, they reduced the project value by DM 18 million, obtained additional grant from the German government – DM 2 million, etc. Conditionally this does not change anything, because the meaning will not be changed practically.

– **What kind of danger contains this project?**

– First, the most serious danger in this case is that certificates prepared by USAID will be decreased in value, since USAID is using current local registration system and certificate is prepared in this system. If we will establish new system, its implementation will cause decreasing in value of the certificates prepared in the old

system. Probably USAID realized that and reduced its project. We will give some figures. When the Order was issued in May 12, 1999, which envisaged issuance of certificates, it was determined in advance how many should be issued and in what terms. The target of the project was to issue certificates for all agricultural land in Georgia by autumn, 2000, free of charge. In the beginning the project was carried out well according to the plan; during 1999 300 thousand certificate were to be prepared, during 2000 million and a half certificates were to be issued, remaining part were to be issued during 2001. There were assuming to issue 3 million certificates in total by 2001.

– **In case of ratification of German project will USAID finish started work?**

– Plan envisaged for 1999 was fulfilled. In the ceremonies for issuance of certificate free of charge participated the President of Georgia, Chairman of the Parliament and State Minister. As it seems, USAID will prepare four times less certificates in this year in relation to the German project (this is my opinion), this points out serious danger that the project may be terminated.

– **US party allotted sufficient amount of funds for issuance of certificates at no cost.**

– USAID can not interfere with affairs of the government of Georgia, the viewpoint of Georgian farmers is interesting though. I, personally, as a member of the Parliament, state that for me the implementation of the new system is categorically unacceptable, because I consider it to be ineffective. Moreover, it is dangerous under current conditions since this project contradicts conducted works.

– **USAID is conducting the project free of charge for us, however, it is clear that US party allotted certain funds for its embodying...**

– USAID is providing assistance for us within 105 million. Georgia will receive this amount anyway and it will be spent for another activity or project implementation, but the main thing is not that started activity will not be finished.

– **A number of organizations support ratification of German project and there are supporters in the Parliament too.**

